საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 127 (672) | ხუთშაბათი, 17 ივნისი, 1993 წელი | ფასი 10 კუპონი

წუხელ შეიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

სოხუმი. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან აცნობეს, 15 ივნისის ღამეს მდინარე გუმისთაზე გამავალი ფრონტის მთელ ხაზზე შედარებით სიმშვიდე იყო. თუმცა მოწინააღმდეგე მხარემ მაინც არ მოისვენა და 21 საათზე სოფელ ლაბრასთან ნაღმსატყორცნებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნა ქართველთა მხარეს. ამის შედეგად დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზი და სოხუმს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. ოჩამჩირის ზონაში მთელი ღამის განმავლობაში პროვოკაციული მიზნით ისმოდა ავტომატების კაკანი.

16 ივნისის დილით სოხუმსა და ოჩამჩირის რაიონში სიმშვიდეა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სოხუმს უახლოეს დროში აღუდგეს ელექტროენერგიის მიწოდება.

• • •

მიღწეულია პრინციპული შეთანხმება

15 ივნისს საღამოს სოხუმში გაიმართა გენერალ-მაიორ ს. კუდინოვის — რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის სასწრაფო რეაგირების სამმართველოს უფროსისა და საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მე-2 საარმიო კორპუსის მეთაურის გენერალ-მაიორ ზ. უჩაძის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. გასვიანის შეხვედრა.

მიღწეულია პრინციპული შეთანხმება ტყვარჩელში ჰუმანური ტვირთის მიღებისა და ადგილზე მიტანის თაობაზე.

მიმდინარეობს იმ მარშრუტის საბოლოო შეთანხმება, რომლითაც უნდა გაატარონ ავტოკოლონა ოჩამჩირიდან ტყვარჩელამდე.

• • •

კარაქს მივიღებთ

ივნისში ყოველი თბილისელი მიიღებს საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს მიერ შეპირებულ 200 გრამ ჰოლანდიურ საბუტერბროდე კარაქს სიებით. ასეთივე ნორმა გამოეყოფათ რესპუბლიკის სხვა ქალაქების მცხოვრებლებსაც. ერთი კილოგრამი კარაქის ღირებულება 800 კუპონია.

• • •

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებულებით ქ. თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი გურამ ჯანიაშვილი. ამ თანამდებობიდან დავით ზეიკიძის განთავისუფლებამ პოლიციის თანამშრომლების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია, რომლებიც მინისტრის ბრძანებულების გაუქმებას მოითხოვენ.

* * *

18 ივნისს დილის 10 საათზე გაიმართება პარლამენტის მორიგი სხდომა.

საქართველოს პარლამენტი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფის, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სამხედრო მოსამსახურეების სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფის, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სამხედრო მოსამსახურეების სამართლებრივი აღზრდის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფის, დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და სამხედრო მოსამსახურეების სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების პროგრამის შესამუშავებლად შეიქმნას კომისია საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის, გენერალური პროკურორის მოადგილის ა. შუშანაშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურისა და რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენლები.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარმა სამხედრო პროკურორმა, გენერალური პროკურორის მოადგილემ 1993 წლის 30 ივნისამდე წარმოადგინოს დასამტკიცებლად კომისიის პერსონალური შემადგენლობა.

2. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ:

ა) 1993 წლის 15 ივლისამდე სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის სხდომაზე მოისმინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის, გენერალური პროკურორის მოადგილის მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფის, დამნაშავეობასთან ბრძოლის და სამხედრო მოსამსახურეების სამართლებრივი აღზრდის ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ და მიიღოს შესაბამისი დადგენილება;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 15 მარტის 231 დადგენილების შესაბამისად, 1993 წლის 15 ივლისამდე განიხილოს და გადაწყვიტოს სამხედრო პროკურატურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხები;

გ) შეიმუშაოს და 1993 წლის 30 ივლისამდე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესების გეგმა;

დ) შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც 1993 წლის 15 ივლისამდე განახორციელებს სამხედრო შენობების, ნაგებობების, ტექნიკის, იარაღისა და სხვა ქონების ინვენტარიზაციას, შეიმუშავებს და წარმოადგენს წინადადებებს სამხედრო ქონების დაცვის გაძლიერების შესახებ;

ე) 1993 წლის 30 ივლისამდე შეიტანოს სათანადო ცვლილებები და დამატებები საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სადისციპლინო, შინაგან, საგარნიზონო და საყარაულო წესდებებში უკანასკნელ ხანს საქართველოს პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით მიღებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების გათვალისწინებით და უზრუნველყოს მათი ხელახალი გამოცემა;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 1993 წლის 8 თებერვლის 2 ბრძანების მე-4 მუხლის შესაბამისად, 1993 წლის 20 ივნისამდე შეისწავლოს და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო პოლიციის არსებობის საჭიროების შესახებ;

ზ) შეიმუშაოს და 1993 წლის 30 ივნისამდე დაამტკიცოს სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარების წესი. მკაცრად მოსთხოვოს გარნიზონების სამხედრო კომენდანტებს, რომ სამხედრო მოსამსახურეებმა ზუსტად დაიცვან დადგენილი ფორმის ტანსაცმლის ტარების წესი.

3. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა:

ა) 1993 წლის 15 ივლისამდე მოაწყონ მათდამი დაქვემდებარებული სამხედრო შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფებისა და ორგანიზაციების დათვალიერება. შეიმუშაონ და წარმოადგინონ წინადადებები მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და იმ სტრუქტურული დანაყოფების გაუქმების ან დისლოკაციის ადგილის შეცვლის შესახებ, რომელთა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა შეუძლებელია;

ბ) „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 29 აპრილის დადგენილების შესაბამისად შექმნან სპეციალური საატესტაციო კომისიები, და 1993 წლის 30 ივნისამდე მოაწყონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობის სრული ატესტაცია. შემაჯამებელი მოხსენება ატესტაციის შედეგების შესახებ წარმოადგინონ 1993 წლის 15 ივლისამდე;

გ) მათდამი დაქვემდებარებულ ყველა სამხედრო ქვედანაყოფს დაუგზავნონ სამხედრო პროკურატურის მიერ მომზადებული სამხედრო კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების კრებული, აგრეთვე მეთოდიკური წერილი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში დანაშაულის გამოვლენის, სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის, პირველადი მასალების მომზადებისა და პროკურატურისათვის გადაცემის წესის შესახებ;

დ) 1993 წლის 30 ივლისამდე უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობა სამხედრო კომისარიატების მიერ დადგენილი წესით გაცემული სამხედრო ბილეთებით, ერთნაირი ფორმის სამსახურეობრივი ბარათებით და სამკერდე ჟეტონებით, რომლებზეც აღნიშნული იქნება სამხედრო ქვედანაყოფის ნომერი;

ე) სპეციალური ბრძანებით კატეგორიულად აუკრძალონ სამხედრო მოსამსახურეებს ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში საბრძოლო იარაღით სიარული; აღნიშნულ ადგილებში შეიარაღებული სამხედრო ქვედანაყოფების გადაადგილება განახორციელონ ორგანიზებულად, მეთაურის თანხლებით და შეიარაღებული ძალების შინაგანი სამსახურის წესდების მოთხოვნათა ზუსტი დაცვით.

4. მთავარმა სამხედრო პროკურატურამ:

ა) 1993 წლის 15 ივლისამდე მოამზადოს სამხედრო კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების კრებული, აგრეთვე მეთოდიკური წერილი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში დანაშაულის გამოვლენის, სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის, პირველადი მასალების მომზადებისა და პროკურატურისათვის გადაცემის წესის შესახებ და გადასცეს ისინი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს სამხედრო ქვედანაყოფებში გასაგზავნად;

ბ) 1993 წლის 15 ივლისამდე შეამოწმოს სამხედრო კომისარიატებში კანონიერების დაცვის მდგომარეობა; შემოწმების შედეგები და წინადადებები სამხედრო კომისარიატების საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს;

გ) 1993 წლის 15 ივლისამდე რეგიონალურ სამხედრო პროკურატურებთან ერთად შექმნას საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კანონიერების უზრუნველყოფისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკოორდინაციო საბჭოები სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის, რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატების, სამხედრო სასამართლოებისა და სხვა სამართალდაცვის ორგანოების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

5. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ 1993 წლის 30 ივნისამდე მოამზადოს კანონპროექტი იმ პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც თვითნებურად მიიკუთვნებენ ან სხვებს მიანიჭებენ სამხედრო და სპეციალურ წოდებებს, უნებართვოდ ატარებენ სამხედრო ფორმის ტანსაცმელს და განმასხვავებელ ნიშნებს.

6. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და მთავარმა სამხედრო პროკურატურამ:

ა) 1993 წლის 30 ივნისამდე შეიმუშაონ და წარმოადგინონ წინადადებები საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა სამართლებრივი აღზრდისა და სამხედრო კანონმდებლობის პროპაგანდის შესახებ;

ბ) 1993 წლის 15 ივლისამდე მოამზადონ კანონპროექტები საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ჰაუპტვახტებისა და სადისციპლინო ბატალიონის ორგანიზაციისა და საქმიანობის შესახებ.

7. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის სარევიზიო კომისიამ 1993 წლის 30 ივნისამდე განახორციელოს ფონდის საფინანსო სამეურნეო საქმიანობის რევიზია და წარმოადგინოს დასკვნა თავდაცვის ფონდში თანხების შეტანისა და მათი ხარჯვის კანონიერების შესახებ.

8. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა:

ა) დააჩქაროს საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მიერ შემუშავებული საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, რესპუბლიკაში ჩამოსული საზღვარგარეთის სახელმწიფოების საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებისა და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირთა პირადი უშიშროების უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შესახებ დებულებისა და შეიარაღებული დაცვის ორგანიზაციის, დაფინანსებისა და საქმიანობის წესის დამტკიცება;

ბ) განიხილოს „ყოფილი საკავშირო სამხედრო უწყებათა ჯარებისა და დაწესებულებებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მიწის ნაკვეთების, მათზე განლაგებული სამხედრო დასახლებების სამხედრო-საზღვაო ბაზების ძირითადი ფონდების მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემისა და მოხმარების სფეროს განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის 984 დადგენილებისა და „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ნაწილებისაგან უკანონოდ შეძენილი ან მიტაცებული ქონების კერძო პირთათვის ჩამორთმევის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 26 თებერვლის 169 დადგენილების გაუქმების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული დადგენილებები ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ლახავს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კანონიერ უფლებებს, ხელს უშლის საქართველოს ეროვნულ არმიასა და ხელისუფლებას, ქმნის სერიოზული კონფლიქტების საფრთხეს...

9. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურმა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, რესპუბლიკაში ჩამოსული საზღვარგარეთის სახელმწიფოების საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეებისა და დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირთა შეიარაღებული დაცვის ერთიანი სისტემის შემოღების შემდეგ მიიღონ ზომები იმ ცალკეული თანამდებობის პირების განკარგულებაში მყოფი დაცვის ჯგუფების დაშლისა და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, ვისაც დადგენილი წესის მიხედვით, შეიარაღებული დაცვა არ უნდა ემსახურებოდეს.

10. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-მაიორმა გ. ყარყარაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციის გენერალ-მაიორმა თ. ხაჩიშვილმა, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა ი. ბათიაშვილმა, ქალაქების მერებმა, ქალაქებისა და რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეებმა უზრუნველყონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 1993 წლის 8 თებერვლის 2 ბრძანების მე-9 პუნქტის შესრულება ყოველგვარი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების დაშლის შესახებ, რომელ პარტიასა და ორგანიზაციასაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოხდეს ამ უკანონო შეიარაღებული ფორმირებების კუთვნილი იარაღის იძულებით ამოღება და კანონით დადგენილი წესით დაისვას ამ პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვის საკითხი.

11. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის სამხედრო-ანალიტიკური განყოფილების ჯგუფს.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1993 წლის 14 ივნისი.

საკონსულტაციო შეხვედრები მოსკოვში

15 ივნისს მოსკოვში დაიწყო სამუშაო ჯგუფების საკონსულტაციო შეხვედრები აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადმა წარმომადგენელმა სანდრო კავსაძემ გვითხრა, რომ პირველივე სხდომა კონსტრუქციული იყო, განვიხილეთ დღის წესრიგი, სადაც ვისაუბრეთ შემდეგ საკითხებზე: საკონსულტაციო შეხვედრების ვადები და წესები; სამუშაო ჯგუფების უფლებამოსილება; ცეცხლის შეწყვეტა და მისი კონტროლის დროებითი მექანიზმის მონახვა; მოლაპარაკების ძირითადი პრინციპები; შეთანხმების პროექტი აფხაზეთში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პრინციპების შესახებ.

დღის წესრიგთან დაკავშირებით გაიმართა სერიოზული მსჯელობა, აზრთა გაზიარება.

საკონსულტაციო შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს მხრიდან — ალექსანდრე კავსაძე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ქ. სიჭინავა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე ი. მაჭავარიანი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მარშანია, საქართველოს პარლამენტის წევრი ბორის კაკუბავა, საქართველოს საელჩოს დესპანი რუსეთში ო. ჩერქეზია. აფხაზეთის მხრიდან — ა. ახბა, ი. ანჩაბაძე, ა. ჯერგენია — არძინბას პირადი წარმომადგენელი, რუსეთის მხრიდან — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. პასტუხოვი, ელჩები ი. ფედოსოვი, ა. შმონევსკი, ფ. კოვალიოვი.

შემდეგი სხდომა 16 ივნისს შედგა.

საქართველოს საელჩოს პრესცენტრი.

ერთად ავაღორძინოთ საქართველო!

— მოგვიწოდებენ: რუსთავი, ბათუმი, ახალი სამოქალაქო მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა“

გია ჭელიძე.

მახსოვს, ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენზე გაცილებით მცირერიცხოვანმა ლიტველებმა, საერთოდ, ბალტიისპირელებმა მსოფლიო განაცვიფრეს თავიანთი ერთობის დემონსტრაციით — ყველგან, ქალაქად თუ სოფლად, დიდმა თუ პატარამ ერთსულოვნად ჩაჭიდეს ერთმანეთს ხელი და ერთი სიმღერა იმღერეს.

გახსოვთ, როგორ მღეროდა ერთ ჯაჭვად შეკრული ლიტვა?.. მთელი მსოფლიო მოიარა ვერტმფრენებიდან გადაღებულმა ამ უნიკალურმა კადრებმა. გაიხსენეთ, თვით „ურჩხულიც“ კი გააოგნა პატარა ხალხის ასეთმა დაუცხრომელმა სულმა, მაღალმა ზნეობამ, თანადგომამ.

მთელმა მსოფლიომ მოიხედა მაშინ ლიტვისაკენ, ბალტიისპირეთისაკენ.

ჰო, დედაა, ჩვენს სიბეცესა და გაუტანლობას რა ვუთხარი, თორემ ლიტველებზე ნაკლები ქალაქები გვაქვს თუ სოფლები... სიმღერა? — იცოცხლეთ, ურჩხულს კი არა, მკვდარსაც კი წამოაყენებს და მოახედებს ჩვენსკენ, მაგრამ...

— გამოვალთ და ვიმღერებთ ლიტველებივით?

— უნდა გამოვიდეთ ხალხო, გზებსა და ქუჩებში კი არა, საწარმოებში, მინდვრებში, დაწესებულებებში. ახლა შრომა გვმართებს, რომ მამული ავაღორძინოთ.

არ მეგულება კაცი დღეს ამაზე რომ არ ფიქრობდეს. ოჯახში, ქუჩაში, პურის რიგში, პრესაში, ტელევიზიაში, პარლამენტში ერთთავად ამაზე გვაქვს მსჯელობა თუ კამათი.

გაცვდა ენა... ზოგს იმედიც გადაგვეწურა. ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვუბრაზდებით: ქვეყანა თავზე გვექცევა. ჩვენ კი ჯერაც ვერ მოგვეთოკავს საკუთარი თავი და ამბიციები, ჯერაც ვერ გადაგვიდგამს თუნდაც ერთი ისეთი ნაბიჯი, რომელიც სულიერად აგვამაღლებდა, გაგვაერთიანებდა, შრომისა და ერთობის გზაზე დაგვაყენებდა.

— სად არის გამოსავალი? — ვკითხულობთ... ზოგი ახალი საბაზრო სისტემიდან მოელის შვებას, ზოგი ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის უცხოელი მეგობარ-დამფასებლებისაგან, ზოგიც პირიქით — შევარდნაძე გადავაყენოთ და გვეშველებაო, აცხადებს; ზოგსაც ვინ იცის, სად არ გაურბის თვალი სასურველი კეთილდღეობის მოლოდინში.

და არის ერთი შეხლა-შემოხლა, თვალში ნაცრის ყრა, ნაცვლად იმისა, რომ ხელი გამოვიღოთ და თავადვე წამოვაყენოთ ჩვენივე სიბეცითა და სიზარმაცით გაპარტახებული ეკონომიკა...

ახლახან მშვიდობისა თუ ზავის იმედიც გამოკრთა. მშვიდობა ბევრს ნიშნავს საქართველოსათვის, რადგან მას ყოველთვის მოაქვს საზოგადოებრივი თანხმობა, შეკავშირება, შრომა და აღმშენებლობა. ვართ კი მზად ამისათვის? თუ ჩვენი პარლამენტის ყოველდღიური ბატალიებით ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი ტაძრამდე.

უკვე ვატყობ, ბევრი ჩვენგანი, სოფელი თუ ქალაქი, გუმანით გრძნობს იმას, რომ უმოქმედობით, განზე დგომით არაფერი გვეშველება; ვგრძნობთ, რომ მხოლოდ შრომა და თანადგომა თუ გამოგვიყვანს იმ შოკიდან თუ გაოგნებიდან, რომელშიც აღმოვჩნდით.

ლიტველებიც თავში იმიტომ გავიხსენე, რომ მათ იმ გამოსვლასა და სიმღერას შრომა მოაყოლეს, საწარმოები აამოქმედეს, პროდუქტი დაზვავეს და ახლა ამიტომაც არ დგანან პირდაღებულნი გაქუცულ-გაზევებული კუპონებით და სოციალური აფეთქებით არ ემუქრებიან საკუთარ მთავრობას.

ასე რომ, მხოლოდ შრომა და თანადგომაა ჩვენი წამალიც და მკურნალიც.

ალბათ ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო ხანს ყველას თვალი აჭარისაკენ გაგვირბის, აქ დამკვიდრებული სიმშვიდე, წესრიგი, შრომისა და აღმშენებლობის ატმოსფერო გვიზიდავს. მოგვწონს ისიც, რომ იქით ფოთი და ქუთაისი იმართება წელში, ამ დღეებში აქეთ, აღმოსავლეთით წამოდგა რუსთავი, ბათუმთან თანამშრომლობის ხიდის გადება ითავა და ერთიანი ძალისხმევით მამულის აღორძინებისაკენ მოუწოდა სრულიად საქართველოს. ეტყობა, მართლაც დადგა დრო გამოფხიზლების, დრო თანადგომის.

სწორედ ამის დასტური გახლავთ რუსთავის მერიისა და სამრეწველო საწარმოების კავშირის მიმართვა, რომელიც წინ უსწრებდა 8 ივნისს, დღეს, როდესაც მზიური აჭარის დედაქალაქმა ფართოდ გაუღო თავისი კარი აქ საძმოდ, სათანამშრომლოდ ჩამოსულ რუსთაველებს.

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც აქ გაფორმდა ორ ქალაქს შორის, მარტო დოკუმენტი როდია, იგი დასაწყისია იმ დიდი თანადგომისა, რომელსაც, მჯერა, სულ მალე მთელი საქართველო გაითავისებს. ასე რომ, შეხვედრები ბათუმში თავისი მნიშვნელობით მართლაც სცილდება ორი ქალაქის მისწრაფების ჩვეულებრივ ფარგლებს და ფართო საზოგადოებრივ ხასიათს იძენს. ამიტომაც იყო, რომ ამ პატრიოტულ ინიციატივას დაემთხვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა — დაფუძნდა საყოველთაო სამოქალაქო მოძრაობა — „ერთობა და კეთილდღეობა“, რომლის მიზნებსა და მისწრაფებებზე ამ დღეებში უკვე რამდენიმე პუბლიკაცია მივაწოდეთ ჩვენს მკითხველს.

ვფიქრობ, გასული კვირის ეს ორი ფაქტი შემთხვევით არ დაემთხვა ერთმანეთს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ შეიქმნა წანამძღვარი იმისათვის, რომ დაიწყოს ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში — ეტაპი ქვეყნის აღმშენებლობისა, ეკონომიკური და სულიერი აღორძინებისა.

ალბათ ამიტომაც გადავწყვიტეთ ეს ორი, სულიერად, ზნეობრივად საერთო მიზნებითა და მისწრაფებებით ალსავსე მოვლენა ერთი სათაურის ქვეშ მოგვეთავსებინა და ასე მიგვეწოდებინა ფართო საზოგადოებრიობისათვის. რაც შეეხება ინტერესს, ვფიქრობ, ამაზე შორს წასვლა არ დასჭირდება ჩვენს მკითხველს, თუ ვიტყვი, რომ პრობლემაზე — როგორ ავაღორძინოთ საქართველო, ჩვენი გაზეთის მომდევნო გვერდზე იმსჯელებენ: ბატონი ასლან აბაშიძე, რუსთავისა და ბათუმის მერიების ხელმძღვანელები, ბატონები: სოსო არეშიძე და თენგიზ ასანიძე, ქართველ მეტალურგთა თავკაცი ბატონი გურამ ქაშაკაშვილი, ჩვენი სახელოვანი პარლამენტარები და ლიტერატორები — მანანა გიგინეიშვილი, ელდარ შენგელაია, ვახტანგ როდონაია, დავით წერედიანი და სხვები.

.... დაიძრა!.. ერთი ფშაველისა არ იყოს, ნეტავ ისე ყოფილიყოს, დღეს დაწყებული საქმე თუ სიტყვა-მოწოდება მართლაც გამქვეყნდებოდეს და მთელს საქართველოს ფეხზე დააყენებდეს!

აი მაშინა ვნახოთ, სად უფრო მძლავრად მღერიან — ლიტვაში თუ საქართველოში.

(იხ. მე-2 გვ.)

ნომერში

⊙ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი. 3

⊙ დანაშაულის გახსნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მართლმსაჯულების გამარჯვებას. 4

ბელგიასა და გერმანიაში ვიზიტის გამო

22-26 ივნისს გაიმართება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი ბელგიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში უთხრეს, ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში დაგეგმილია ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან მანფრედ ვერნერთან, მისი გამოსვლა ჩრდილოეთ ატლანტიკური ბლოკის საბჭოს სხდომაზე. დასახულია აგრეთვე საუბარი ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან ევროპაში გენერალ ჯონ შალიკაშვილთან. ბელგიის დედაქალაქში ყოფნის პროგრამაშია შეხვედრა ამ ქვეყნის მეფე ბოდუენთან, პრემიერ-მინისტრის მოადგილესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, სხვა ოფიციალურ პირებთან.

გადატვირთულია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გერმანიაში ოფიციალური ვიზიტის პროგრამაც, რომელიც 23 ივნისის საღამოდან დაიწყება. ბონში ედუარდ შევარდნაძე შეხვდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს რიხარდ ფონ ვაიცზეკერს, ფედერალურ კანცლერს ჰელმუტ კოლს, ბუნდესტაგის (პარლამენტის) თავმჯდომარეს რიტა ზიუსმუტს, საგარეო საქმეთა მინისტრს კლაუს კინკელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შეხვდება და ესაუბრება გერმანიაში უდიდესი „დოიჩე ბანკისა“ და ცნობილი ფირმა „სიმენსის“ ხელმძღვანელობას. მთავარი მოვლენა კი ვიზიტის დროს იქნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის თანამშრომლობის საფუძვლების შესახებ დეკლარაციის ხელმოწერა.

25 ივნისის დღის მეორე ნახევრიდან ედუარდ შევარდნაძე ჩავა ბერლინში, სადაც, კერძოდ, დაგეგმილია მისი შეხვედრა გერმანიაში მცხოვრებ ქართველებთან, მისთვის ემანუილ კანტის სახელობის ჯილდოს გადაცემა, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს, ისე როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების ყოფილ მეთაურს ჰანს-დიტრიხ გენშერს, მიანიჭა გერმანიის ცნობილმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თანასწორუფლებიანობის განმტკიცებაში მათი დამსახურების აღსანიშნავად.

მძიმე კრიზისიდან გამოსვლის გზებს

16 ივნისს ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ახლახან შექმნილი საგანგებო ეკონომიკური საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი იყო სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობისა და სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი რესურსების ამოქმედების გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი, რომლის გამო, ინფორმაცია გააკეთეს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა, ეკონომიკის მინისტრმა მიხეილ ჯიბუტმა და ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრმა მურთაზ ზანკალიანმა. გაანალიზეს რა სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების მდგომარეობა, მათ ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა აამოქმედონ მთელი შესაძლებლობანი, რათა ეს შეთანხმებანი რეალური შინაარსით შეივსოს. საამისოდ კი სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საჭირო სახსრები, რათა ანგარიში გაუსწოროს პარტნიორებს, რომლებიც ქვეყანას აწვდიან ენერგომატარებლებს, სურსათსა და სხვა საჭირო პროდუქციას, ამავე დროს, სხვა ქვეყნებთან სრულფასოვანი საქმიანი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად რესპუბლიკა თავად უნდა აწარმოებდეს პროდუქციას, რომლითაც პარტნიორები არიან დაინტერესებული. მაგრამ საქმე ის არის, რომ წარმოების მინიმალური გაჯანსაღებისა და საქართველოს ეროვნული ეკონომიკის წამყვანი დარგების ფუნქციონირებისათვის მიმდინარე წლის დამლევამდე საჭირო იქნება 880 მილიონი დოლარის ენერგომატარებლები, ნავთობპროდუქტები, სურსათი, თითქოს რაღაც მოჯადოებული წრე იკვრებოდეს: გაზის, ელექტროენერგიის, ნავთობპროდუქტების, სურსათის შესაძენად საჭიროა საკუთარი პროდუქცია, ეს პროდუქცია კი რომ გვქონდეს, საჭიროა ისევ და ისევ გაზი, ნავთობპროდუქტები და ა. შ.

არადა ქვეყნის ბევრი სამრეწველო საწარმო კონტროლს არ ექვემდებარება, მათ პრაქტიკულად არავითარი დავალება არა აქვთ სახელმწიფო პროგრამით, რაც შესაძლებლობას მისცემდათ ის ვაკუუმი, რომელიც წარმოიქმნა საექსპორტო მიწოდების უზრუნველყოფის საქმეში, თუნდაც ცოტათი მაინც შეევსოთ, მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის გარკვეული პროცენტის ხარჯზე. საბჭოს სხდომაზე გაკეთებული მიახლოებითი გაანგარიშებით, რესპუბლიკის ინდუსტრია ნაწილობრივ მაინც რომ ამოქმედდეს, შეიძლება მივიღოთ წელიწადში დაახლოებით 700 მილიონი დოლარი. მაგრამ, თუ არ გვექნება მტკიცე დისციპლინა, სხვადასხვა სტრუქტურების მჭიდრო ურთიერთმოქმედება, არ განხორციელდება, შესაბამისი საკადრო პოლიტიკა, ალბათ, ეს ამოცანა ვერ გადაწყდება. ამ სიტუაციაში იოლად ვერ გავალთ, თუ არ განხორციელდა საგანგებო ეკონომიკური ღონისძიებანი, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ ეტაპზე სამინისტროებს უნდა მიეცეთ დიდი უფლებამოსილებანი, რაც გააძლიერებს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას. ამასთან, რა თქმა უნდა, არ უნდა გადავიტაცოთ წმინდა ადმინისტრირებამ, რადგან, ასეთ მეთოდს ეკონომიკა ვერ ეგუება. უნდა ვიმოქმედოთ ეკონომიკური ბერკეტებით, პარალელურად განვახორციელოთ საწარმოთა და სხვა ობიექტთა განსახელმწიფოებრიობის, საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრების კურსი.

სხდომაზე გამოსულმა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების სერიის ხელმოწერით, საქართველომ იკისრა გარკვეული ვალდებულებანი, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულოს. მან თქვა, რომ შექმნილ სიტუაციაში არ უნდა მოვწყდეთ რეალობას — ქვეყანას ელის შიმშილი და უნდა ავამოქმედოთ ყველა ბერკეტი, რათა თავი დავაღწიოთ ამ ურთულეს მდგომარეობას, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის თუნდაც მინიმალური მოთხოვნილებანი, თავიდან ავიცილოთ შიმშილის საფრთხე. ახლა სიძნელეებს განიცდის სსრ კავშირის ყველა ყოფილი რესპუბლიკა, ისეთი რესპუბლიკებიც კი, როგორიცაა უკრაინა და ყაზახეთი, მაგრამ იქ მაინც შეძლეს შეენარჩუნებინათ რაღაცა, ჩვენში კი მტაცებლურად გაძარცვულია მთელი ქვეყანა, დანგრეულია ეროვნული ეკონომიკა. ამიტომ, პრივატიზაციასთან და სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომლებსაც შეუძლიათ რესპუბლიკა კრიზისიდან გამოიყვანონ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წარმოების გამოცოცხლება. ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი კერძო ბიზნესს, თორემ სიტუაცია შეიძლება კიდევ უფრო გართულდეს. ძალიან, ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ვითარებიდან გამოსავალი უნდა ვიპოვოთ.

მეორე საკითხზე — რესპუბლიკის მოსახლეობის პურით მომარაგების უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ შემოდის მარცვლეული საქართველოში საზღვარგარეთიდან, მთელი რიგი ქვეყნებიდან რა ღონისძიებები ხორციელდება ამ საარსებო მნიშვნელობის პროდუქტით ნორმალური მომარაგებისათვის.

სხდომაზე განიხილეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის პროექტი განკარგულებისა რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევის ღონისძიებათა შემუშავების ორგანიზაციის შესახებ.

ერთად ავაღორძინოთ საქართველო!

რუსთავი—ბათუმში

დალახვრა ღმერთმა ჩვენებური ქართული „წესი“ — უკვე ერთი საათია სპეციალურ თვითმფრინავში ვსხედვართ, ვიხუთებით, თბილისელი ავიატორები კი ახლა ეძებენ ზეთსა და საწვავს. ბათუმში კი დათქმულ დროზე გველიან... ვატყობ, ნერვიულობს ჩემი თანამესავარძლე, ქალაქ რუსთავის მერი — **სოსო არეშიძე.** სიტყვაძვირი, მორიდებული კაცია სოსო ბატონი, დროდადრო გადახედავს ხოლმე თავის სახელოვან მრევლს, ვისი იმედითა და თანადგომით ითავა ეს საპასუხისმგებლო მისია; ვგრძნობ, გული საგულეს აქვს. მის გვერდით არიან ჩვენი მრეწველობის უდიდესი საწარმოების თავკაცები: **მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი გურამ ქაშაკაშვილი, საწარმოო გაერთიანება „ქიმიური ბოჭკოს“ გენერალური დირექტორი ჯუმბერ ძნელაძე, საწარმოო გაერთიანება „აზოტის“ კომერციული დირექტორი მურმან არჯევანიძე, ცემენტის, ლითონკონსტრუქციების, ამწემშენებელი, სამონტაჟო ნაკეთობათა ქარხნების დირექტორები: ჯუმბერ თათარაშვილი, ანზორ დოლიძე, ალექსანდრე სირაძე, იუზა ჩუბინიძე და სხვები. მათ შორის კულტურის დარაჯს მოღვაწენიც — სახელგანთქმული ანსამბლი „რუსთავი“, ბატონ ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.**

იქ, ბათუმში, ყველას თავისი პარტნიორი ელოდება, ასე რომ, ყოველი მათგანი იქ, რომ იტყვიან, წინასწარ მომზადებული წინადადებითა და გარიგებათა პაკეტით მიდის.

საწვავი ჯერაც არ ჩანს. მეც ვცდილობ რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენო ეს გაუთვალისწინებელი პაუზა:

— ბატონო სოსო, — მივმართავ რუსთაველთა თავკაცს, — **რუსთაველთა მიმართვამ, რომელიც ამ დღეებში ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა, ბევრ ჩვენს თანამემამულეს გაუჩინა სურვილი თავადაც ჩაერთოს ამ პატრიოტულ მოძრაობაში რუსთაველები და ბათუმელები რომ იწყებთ. არც თუ შორეულ წარსულში ასეთი მოწოდებები და სტუმრობები, როგორც გახსოვთ, უფრო პოპულისტური ხასიათისა იყო და მხოლოდ ფარატინა დოკუმენტებითა და პურმარილებით მთავრდებოდა. ახლა ქაღალდიც გვიჭირს და პურმარილიც, მისვლა-მოსვლაც. თქვენ კი, რომ იტყვიან, მთელი რუსთავი აგიყრიათ და ბათუმში მიგყავთ. ალბათ გაქვთ ამის მიზეზი?**

— მიზეზი ის გახლავთ, რომ დადგა დრო, როცა ვინმეს უნდა მიეღო მამულის აღორძინებისათვის აჭარაში დაწყებული ესტაფეტა. მესმის, ეს რაღაც ძველმოდურად ჟღერს... მაგრამ ვინ უნდა მიიღოს იგი, თუ არა რუსთავმა — ქალაქმა, რომელიც დააფუძნა და შექმნა შრომამ და მამულის ძლიერებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვამ. ქალაქმა, რომელმაც, მიუხედავად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისისა, ტრადიციულ პარტნიორებთან ადრინდელი კავშირების მოშლისა, მაინც შეძლო შეენარჩუნებინა საგულისხმო სამრეწველო პოტენციალი, შედარებითი სიმშვიდე და წესრიგი. ეს საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო გავზარდოთ და გავაფართოოთ წარმოების მოცულობა, რაც თავისთავად მოითხოვს ახალი პარტნიორების მოძიებას, ისეთი კავშირების დამყარებას, რომელიც სასარგებლო იქნება არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის. ბათუმთან, აჭარასთან კავშირი და თანამშრომლობა კი ჩვენთვის მრავალმხრივ არის საინტერესო. აჭარაში მიმდინარე აღმშენებლობით პროცესს, იმ პერსპექტივებს, რომლებიც აქ აქვთ დასახული, რომ იტყვიან, წამალივით სჭირდება რუსთავის თანადგომა.

— მით უმეტეს, რომ ეს თანამშრომლობა მარტო რუსთავისა და ბათუმის წისქვილზე არ მიუშვებს წყალს, იგი მთელ საქართველოს წაადგება.

— რაღა შორს წავიდეთ. მიმდინარე წლის ნახევარში, მაშინ როცა ენერგომატარებლების დეფიციტის გამო გამორთული იყო ქალაქის მთელი რიგი საწარმოები, 6 მილიარდამდე მანეთი შევმატეთ რესპუბლიკის ბიუჯეტს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება ჩვენ და ბათუმმა რომ გავაერთიანოთ შესაძლებლობები. პორტი, ზღვა, პროდუქციის იმპორტი თუ ექსპორტი, ახალი პარტნიორები, ერთობლივი საწარმოები... რამდენ სიკეთესა და სახსრებს მოუტანს ეს ჩვენს რესპუბლიკას. რა იქნება და როგორ, ამას უფრო ნათლად ბათუმში ვნახავთ, როცა ჩვენი მეწარმეები გადმოალაგებენ საქაღალდეებიდან თავიანთ საქმიან წინადადებებსა და გარიგებათა პროექტებს. ვიცი, რომ არც ბათუმელები მოვლენ ამ შეხვედრაზე ხელცარიელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვინდა კონკრეტული და რეალური იყოს ყველაფერი. რასაც ხელს მოვკიდებთ, ის დროულად უნდა გაკეთდეს და მყისვე ჩადგეს ხალხისა და საქართველოს სამსახურში.

— ბატონო სოსო, დღევანდელი დღის სამზადისში რუსთავის რამდენიმე საწარმო მოვიარე, ვიყავი ქიმიკოსებთან, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ბატონ გურამ ქაშაკაშვილთან ისეთ დროს მოვხვდი, როცა თქვენ მრეწველობის მინისტრთან, ბატონ თენგიზ გელეიშვილთან ერთად იხილავდით საწარმოს მომავალ გეგმებსა და პერსპექტივებს.

ისე ჩამითრია ამ საქმემ, ლამის არის ჩემს კოლეგებს ეკონომიკის რედაქციიდან „ლუკმა-პურიც“ კი წავართვა. იმ საუბრისა და მსჯელობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნამდვილი პრაქტიკოსი პოლიტიკოსები სწორედ იმ მაგიდასთან ისხდნენ.

— მართალი ხართ. ახლა ჩვენში ომი და უბედურება რომ არ მძვინვარებდეს და დალაგებულ-დაწყნარებული ვიყოთ, კარგად ვიცი, რასაც მოიმოქმედებდა ჩვენი სახელმწიფოს მეთაური. მახსენდება ხოლმე მისი ხატოვანი თქმა — პოლიტიკა ეკონომიკის გაგრძელება არისო. მას ქარხნიდან, მინდვრიდან, ფერმიდან ვერ გამოვიყვანდით. თავზე საყრელად გვექნებოდა ექსპერიმენტები, ერთობლივი საწარმოები, ახალი ტექნოლოგიები, მთელი მსოფლიოს მრეწველნი თუ მეურნენი თავზე გვედგებოდნენ და ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. მაგრამ, ვაძლევთ მას ამის საშუალებას?

ჩვენ და ბათუმელების ერთობლივი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ იმ ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც ამის საშუალებას მისცემს ჩვენს სახელმწიფო მეთაურს, ყველას, ვისაც სურს საქართველო აღმშენებლობის გზაზე დააყენოს.

— ბატონო ჩემო, — საუბარში ერთვება ბატონი **გურამ ქაშაკაშვილი,** — საჩივლელი და საწუწუნო დღეს იმდენია, რომ წესიერი ხელმძღვანელი პასუხსაც ვერ მოგთხოვს. მაშ, ავდგეთ და დავიკრიფოთ გულზე ხელი? ახლა ჩვენი უმთავრესი მიზანია წლის ბოლომდე მთელი სიმძლავრით ავამოქმედოთ მთელი ჩვენი კომბინატი. ეს კი საზუმარო საქმე არ გახლავთ რესპუბლიკისათვის.

— ბატონო გურამ, იმ დღეს თქვენმა თანაშემწემ დოკუმენტების მთელი წყება გადმომცა, რომელშიც უკანასკნელ წლებში თქვენი კომბინატის მიერ გაწეული საქველმოქმედო საქმიანობა არის ასახული. ერთი სიტყვით ნახევარი საქართველო აგიშენებიათ, ჩემო ბატონო, და ეგ არის. როგორც ვატყობ, არც აჭარაში წამობრძანდებოდით ხელცარიელი?

— ვენაცვალე, გამრჯე, პატიოსანი ხალხია. ახლა, როცა ბათუმელები პორტის რეკონსტრუქციას აპირებენ, მეც მინდა შევთავაზო მათ ჩემი თანადგომა, — ამასთან, დიდი სურვილი გვაქვს აქ, ბათუმის პორტში ავაშენოთ ერთი ტერმინალი, რომელიც მხოლოდ ჩვენს კომბინატს მოემსახურება. გარწმუნებთ, იგი მუდამ დატვირთული იქნება, რადგან გასატანიც ბევრი გვექნება და შემოსატანიც.

საუბარში ისე გავერთეთ, რომ ვერც კი ვიგრძენით ისე ამოვჩნდით ჰაერში, სადაც არის ბათუმიც გამოჩნდება...

• • •

ახლა თბილისელებს და რუსთაველებს წვიმით ვერ გააკვირვებ. ლამის არის, ღვარცოფმა წაგვლეკოს. ამ უსაწვავობასა და გაჭირვებაში წარღვნით ჩამოტანილი ქვა-ღორღის გატანას ვერ ავუდივართ. ...აქ კი, ბათუმში, რომ გადაიღებს და გამოანათებს, ნამდვილი ბათუმური დღე მაშინ იწყება.

თვითმფრინავის სარკმლიდან ჯერ ჩვენი ჟურნალისტური საძმოს დიდი მეგობარი და თანამდგომი, საზღვაო დეპარტამენტის უფროსი რომან ახობაძე დავლანდე. შემდეგ ბათუმის მერი ბატონი თენგიზ ასანიძე, თავისი ვიცე-მერებით, მინისტრებით, ბათუმის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებით გარშემორტყმული. მერე ხალხი, უამრავი, უთვალავი...

მზიანი, ძმობითა და სიყვარულით განთქმული ბათუმი გვიღებდა კარებს.

ამდენი ღიმილიანი, სალმითა და სიყვარულით აღვსილი ხალხი, როგორც ვთქვი, კარგა ხანია არ მინახავს. მართლაც, ამაღელვებელი იყო შეხვედრა. ეტყობა, ამ არეულობაში ისე მოგვნატრებია ურთიერთმოფერება და თანადგომა, რომ ვინმე უცხოს რომ შეელო თვალი ამისათვის, შესაძლოა რუსთაველები უცხო პლანეტელებადაც მიეღო.

გეფიცებით, არ ვაჭარბებ. ამას წინათ იგივე მითხრეს ჩვენმა პარლამენტარებმა ბათუმში სტუმრობის შემდეგ. არ ვიცი, პირდაპირ, თითქოს არ გლანძღავენ, არ გესვრიან, არ შეურაცხგყოფენ, მხოლოდ გეფერებიან, ძმობას გიცხადებენ, და ამ დროს შენც და იმათაც თვალებზე ცრემლი გაქვთ მომდგარი. მოდი და, ნუ დაფიქრდები: რა გვჭირს, რა მოგვივიდა ხალხო, რომ მოფერებაზეც ვტირივართ. ეტყობა, რაღაც ისეთი ჩაგვიწყდა სულში, რომელსაც გათითოკაცებულნი ვერ ვუმკურნალებთ. ერთობა გვჭირდება.

როგორც ხედავთ, მერებიც, მათი შეხვედრაც კი გადამავიწყდა, როცა იქვე ახლოს სიხარულით სავსე ცრემლმორეულ ბათუმელ ქალბატონებს შევყურებდი.

ისე კი, ბატონები სოსო არეშიძე და თენგიზ ასანიძე ერთსულოვანი იყვნენ ერთ საკითხში: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ სწორედ ახლა, ომისა და ნგრევის დროს დავიწყოთ შენება, ქვეყნის აღორძინება. ეს განზრახვა არ უნდა დარჩეს ქაღალდზე, იგი უნდა იქცეს რეალობად ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით, ამის საშუალება კი ორივე ქალაქის სამრეწველო საწარმოებს, დაწესებულებებს გააჩნია.

ბათუმის მერიაში გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ბატონმა თენგიზ ასანიძემ აღნიშნა, რომ ორ ქალაქს შორის გაბმული თანამშრომლობის ხიდი მარტო ეკონომიკური აღორძინების საწინდარი როდია, ეს გამოწვევაცაა იმ პოლიტიკურ ძალებისა, რომლებიც რეალურად ვერ აფასებენ აჭარაში და საერთოდ საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მან მადლობა გადაუხადა რუსთაველებს თანადგომისა და ძმობისათვის.

ბატონმა სოსო არეშიძემ, წარუდგინა რა დამსწრეთ რუსთავის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, აღნიშნა, რომ ისინი მზად არიან პრაქტიკული თანამშრომლობისათვის თავიანთ აჭარელ კოლეგებთან.

ორივე მერის გამოსვლაში ცხადად გამოიკვეთა მხარეთა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რუსთავში — ბათუმს, მის საწარმოორგანიზაციებს და ბათუმში — რუსთავის საწარმოებს მიენიჭებათ უპირატესი უფლებები. მათ იმედი გამოთქვეს, რომ ეს წამოწყება მთელ საქართველოში ჰპოვებს გამოძახილსა და მხარდაჭერას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ბატონები: გურამ ქაშაკაშვილი, ბათუმის თამბაქოს ქარხნის დირექტორი მამია ხარაზი, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გენერალური დირექტორი ჯუმბერ ძნელაძე, აჭარის განათლების მინისტრი სულიკო ინაიშვილი. ვინ იცის, რამდენი საინტერესო წინადადება, სურვილი გაისმა ორივე მხრიდან. გამოსვლებს საერთო ხაზად გასდევდა უდიდესი მისწრაფება პრაქტიკული თანამშრომლობისაკენ, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ორივე ქალაქისათვის, მთელი საქართველოსათვის.

შემდეგ გაიმართა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საზეიმო ხელმოწერა. ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს ორივე ქალაქის მერებმა, ითვალისწინებს თანამშრომლობას ეკონომიკისა და მეცნიერების, განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის, საზღვარგარეთთან ურთიერთობის სფეროებში.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე ორივე ქალაქის სამსახურები იღებენ ვალდებულებას, ურთიერთსასარგებლო ინტერესებიდან გამომდინარე, შეიმუშაონ ერთობლივი პროექტები, რომლებიც განხორციელდება ცალკეულ სფეროებსა და საწარმოებს შორის დადებული ხელშეკრულებებით.

ხელშეკრულების საზეიმო ხელმოწერის შემდეგ დაიწყო საქმიანი შეხვედრები, რომელშიც ბათუმელთა მხრიდან მონაწილეობდნენ: ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათსაშენებელი, საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლობის, ქიმიური, თამბაქოს ქარხნების დირექტორები: ალნერ ჩინჩილაძე, ოთარ ჯანელიძე, ნიაზ გოგიტიძე, ბორის ფაილოძე, მამია ხარაზი, საქართველოს საზღვაო სანაოსნოსა და ბათუმის პორტის უფროსები რომან ახობაძე და ასლან ბოლქვაძე, მშენებლობის, მრეწველობის, განათლებისა და კულტურის მინისტრები: იოსებ ხალვაში, რევაზ რუსია, სულიკო ინაიშვილი, ნოდარ ფაღავა.

გაფორმდა ბევრი საინტერესო ხელშეკრულება, საქმიანი წინადადება, დაისახა ერთობლივი მუშაობის პერსპექტივები.

იმავე დღეს რუსთავის მერიის, სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელთა დელეგაცია მიიღო აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა **გურამ ვარშალომიძემ,** ხოლო ქ. რუსთავის მერი ბატონი სოსო არეშიძე და ბატონი გურამ ქაშაკაშვილი შეხვდნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ **ასლან აბაშიძეს.**

ბატონმა ასლანმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვა იმ თანადგომით, რომელიც უდიდესი სამრეწველო პოტენციალის ქალაქმა—რუსთავმა გამოიჩინა ბათუმისა და საერთოდ აჭარის მიმართ. — თუ დღევანდელი ვითარებით ვიმსჯელებთ, — თქვა მან, — უკეთესობას არ უნდა მოველოდეთ. ხოლო თუ გვინდა თავი დავაღწიოთ კატასტროფას და გადავრჩეთ, სწორედ ასეთი თანადგომისა და თანამშრომლობის გზები უნდა გამოვნახოთ. მშვიდობამ, შრომამ და თანადგომამ უნდა განდევნოს ჩვენი ყოფიდან სამხედრო მანქანა, თოფი და მახვილი.

შემდეგ საუბარი წარიმართა იმ მიმართულებით, რომ რუსთაველთა მიმართვა საყოველთაო მხარდაჭერას იმსახურებს. ბატონმა სოსო არეშიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს არ არის არც მერიის, არც ცალკეული საწარმოს ინიციატივა. იგი წამოვიდა რიგითი რუსთაველი მშრომელებისაგან. ბატონმა გურამ ქაშაკაშვილმა კი ილაპარაკა იმ კონტაქტებზე, რომელიც მის კომბინატს ექნება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან. როგორც ჩვენი დღევანდელი შეხვედრიდან გამოჩნდა — აღნიშნა ბატონმა გურამმა, ეს თანამშრომლობა ბევრ სიკეთეს მოუტანს როგორც ბათუმს, ისე რუსთავს.

შემდეგ ბატონი ასლან აბაშიძე სტუმრებს ესაუბრა იმ საინტერესო პერსპექტივებზე, რომელიც ექნება აჭარას, მის ეკონომიკას უახლოეს წლებში, გაუზიარა მათ ევროპაში მისი ამასწინანდელი ვიზიტის დროს მიღებული შთაბეჭდილებები, გააცნო გარიგებანი და ხელშეკრულებანი, რომელიც ამ ვიზიტის დროს გაფორმდა უცხოეთის ცალკეულ ფირმებთან.

ბატონ ასლანს მართლაც ბევრი რამ აქვს ჩაფიქრებული. ეკონომიკური ზონა, ისეთი მძლავრი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც დაგვეხმარება იმაში, რომ მივიღოთ და გამოვიყენოთ თანამედროვე საერთაშორისო ინფორმაცია, რათა თავიდან არ გამოვიგონოთ ველოსიპედი.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აჭარის უზენაესი საბჭო ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ორი მეგობარი ქალაქის მისწრაფებას იშრომონ და ითანამშრომლონ საქართველოსათვის, მისი აღორძინებისათვის.

ეს მშვენიერი დღე ბათუმის დრამატულ თეატრში ანსამბლ „რუსთავის“ ულამაზესი კონცერტით დასრულდა.

დასკვნითი აკორდი კი ასეთი გახლდათ: სიამოვნებით აღვსილი ბატონი ასლან აბაშიძე სცენაზე, სიყვარულით გამთბარი მადლობის სიტყვები და აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი, რომელიც სხვა რეგალიებთან ერთად დაამშვენებს ამიერიდან ანსამბლ „რუსთავის“ ჯილდოების კოლექციას.

• • •

ბინდდებოდა, ზღვა ხალხი გვაცილებდა თბილისისაკენ. აეროპორტში, ჩვენს თვითმფრინავთან კიდევ ერთხელ შეისვა ჩვენი დიდი ერთიანი ქართული ოჯახის, დიდი საქართველოს, ბათუმელთა და რუსთაველთა ძმობისა და თანამშრომლობის სადღეგრძელო.

ვიდექი და ვფიქრობდი: თურმე როგორ გვყვარებია, როგორ მოგვნატრებია ერთმანეთი. თურმე როგორი ამაყნი, კარგები და მიმზიდველები ვართ, როცა ერთად ვართ, ერთმანეთის გულსა და მხარს ვგრძნობთ.

ნელ-ნელა მივუყვებოდი თვითმფრინავზე მიდგმული ტრაპის საფეხურებს და თვალი და გული უკან მრჩებოდა, ჩემი ლამაზი ბათუმელები ნაღვლიანად გვემშვიდობებოდნენ, ვატყობდი, ჩვენი სტუმრობის ერთი დღე ეცოტავათ...

არ ვიცი, რად ამეკვიატა და რატომღაც ისევ ურთიერთხელჩაკიდებული ბალტიისპირელები გამახსენდა, თავისუფლებისა და ძმობის სიმღერას რომ მღეროდნენ იმ გაჭირვების ჟამს.

ვუყურებდი ბათუმელებს და მჯეროდა: შორს აღარ არის ის დღე, ჩვენც რომ ხელჩაკიდებულნი წამოვიმღერებთ და მტრისა და ორგულის გულის გასაგმირად ყველა ერთად ვიმღერებთ ჩვენს სიმღერას.

„ერთობა და კეთილდღეობა“

ხალხმრავლობაა ამ დღეებში, თბილისში, რუსთაველის მოედანზე მდებარე კინოს სახლთან. აქ იკრიბებიან ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, სტუდენტები, წარმოებისა და ბიზნესის წარმომადგენლები, პედაგოგები, რაიონებიდან საგანგებოდ ჩამოსულები, თბილისელები.

— მიტინგს აპირებენ? — კითხულობენ ცნობისმოყვარენი.

არა, არ იქნება მიტინგი, მიტინგომანიის დრომ უკვე ჩაიარა. ახლა სხვა მიზანი და საზრუნავი აქვთ აქ შეკრებილთ. კინოს სახლში დაფუძნდა და უკვე შეუდგა საქმიანობას სამოქალაქო მოძრაობა „ერთობა და კეთილდღეობა“, რომელშიც უკვე ათეულობით ორგანიზაცია, ასეულობით მოქალაქე გაერთიანდა. მიზანი ამ მოძრაობისა დღეს ყველასათვის ნათელია და გასაგები: — ერთობა, შეკავშირება... ამისათვის კი ყველა უნდა გავისარჯოთ, ყველამ უნდა გავიღოთ ჩვენი წილი, რომ ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობით ვიხსნათ სამშობლო გადაგვარებისა და გაპარტახებისაგან.

ახლახან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა მასალები ამ სამოქალაქო მოძრაობის დაფუძნების, მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ მამულიშვილურ მოძრაობაში ჩვენს მოქალაქეებთან ერთად ჩაბმას აპირებენ კოლექტივები, სოფლები, ქალაქები, მთელი რეგიონები. ჩვენს ერთობასა და კეთილდღეობას კი, როგორც ისინი ამბობენ, ერთადერთი რამ — შრომა სჭირდება, შრომა, რომელსაც უმეტესობამ კარგა ხანია ზურგი შევაქციეთ და დღემდე თითოეული ჩვენგანის ყოველდღიურ მოთხოვნილებად ვეღარ ვაქციეთ.

მოძრაობის დაფუძნებას ერთი შთამბეჭდავი მოვლენაც დაემთხვა. ამ დღეებში სწორედ ერთობისა და საქართველოს აღორძინებისათვის გაიდო ძმობისა და თანამშრომლობის ხიდი რუსთავსა და ბათუმს შორის. მალე მათ რესპუბლიკის სხვა ქალაქები და რეგიონებიც შეუერთდებიან, ასე რომ, სამოქალაქო მოძრაობას — „ერთობა და კეთილდღეობა“-ს თავის შემადგენლობაში უკვე ჰყავს მთელი ქალაქები, მძლავრი საწარმოები, სახელგანთქმული კოლექტივები, რომლებიც უკვე პრაქტიკულად იღწვიან ამ მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

საერთოდ ასეა, ყოველ კეთილსა და საერო საქმეს მოთავე და წამომწყები ჰყავს. ასეა ამ შემთხვევაშიც. ამ დღეებში სამოქალაქო მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის რამდენიმე წევრი, ჩვენი პარლამენტარები — მანანა გიგინეიშვილი და ელდარ შენგელაია, ცნობილი ლიტერატორები — დავით წერედიანი და ვახტანგ როდონაია — გვეწვივნენ რედაქციაში. ჩვენი საუბარი ცხადია, ამ პატრიოტულ წამოწყებას, მასში თითოეული მოქალაქის გაერთიანებას, საქართველოს აღორძინებისათვის საერთო ეროვნულ ძალისხმევასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხო:

— ქ-ნო მანანა, ბატონებო, ახლად დაფუძნებული სამოქალაქო მოძრაობის — „ერთობა და კეთილდღეობა“-ს მიზნებსა და პერსპექტივებზე რამდენიმე მასალა უკვე მივაწოდეთ მკითხველს. უნდა გითხრათ, ინტერესი ფართოა და მრავალმხრივი. ერთმა ჩვენმა სახელოვანმა თანამოქალაქემ ამას წინათ დარეკა რედაქციაში და თავისი აზრი ამ მოვლენის შესახებ მოკლედ გამოხატა — ეს ადრეც უნდა გაკეთებულიყოო. მართლაც, ეტყობა, დადგა დრო, რომ ამ საერთო ორომტრიალში უსაგნო დაპირისპირებას, პოპულიზმსა და ავყიაობას წინ აღუდგეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, თითოეული პატიოსანი მოქალაქე, გაერთიანება, ერთიანი ძალისხმევა, შრომა და გარჯაა საჭირო, თუ გვინდა, რომ დღევანდელი ქაოსისა და განუკითხაობისაგან ვიხსნათ ჩვენი ქვეყანა, თუ გვინდა, კანონი კანონობდეს, კაცი კაცობდეს და ჩვენს შრომასა და მოღვაწეობასაც ფასი ჰქონდეს. თქვენ როგორ გაქვთ ყოველივე ეს წარმოდგენილი?

ელდარ შენგელაია: — ჩვენ ამ ახალი მოძრაობის საინიციატივო ჯგუფის ერთი ნაწილი ვართ. ცხადია, ბევრი გვაქვს ნაფიქრი და ნააზრევი ამ საკითხზე. როგორც იცით, ჩვენ არასდროს ვყოფილვართ პოლიტიკოსები. ვცხოვრობდით ჩვენი საქმით, ჩვენი პროფესიით და მიგვაჩნდა, რომ ეს იყო ჩვენი უპირველესი მოვალეობა. ალბათ, ასევე განვაგრძობდით, ასეთი მძიმე პოლიტიკური და სოციალური ვითარება რომ არ შექმნილიყო. ახალმა დრომ ბევრი რამ ახალი მოგვიტანა. გაჩნდნენ პოლიტიკური ლიდერები, პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, დაიწყო პოლიტიკური დაპირისპირება, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი საზოგადოება მეტისმეტად პოლიტიზებული გახდა. ასეა ახლაც. მაგრამ ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ იგრძნო, რომ საჭიროა რაღაც რადიკალური ქმედება, რათა ერთმანეთს მხარი მივცეთ ისეთ საქმიანობაში, რომელიც გაუადვილებს ჩვენს ერს ცივილიზებული, დემოკრატიული გზით სვლას. მოძრაობის იდეა, სწორედ ამას ისახავს მიზნად.

მანანა გიგინეიშვილი: — ზოგს დღესაც ჰგონია, რომ ეროვნული მოძრაობა ქუჩებსა და მოედნებზე მეგაფონებით მოწოდებების ყვირილია და სხვა არაფერი. მიტინგების დრო დამთავრდა. მეგაფონური წიოკით გაბეზრდა ხალხი.

— მაგრამ, ქ-ნო მანანა, როგორც ჩანს, მიტინგომანიის სინდრომი ჯერ კიდევ ცოცხლობს, მისი უარყოფა ხელს არ აძლევს ზოგს. მაგალითად თუნდაც ჩვენი პარლამენტი ავიღოთ. აქ როგორც სარკეში, ისე ჩანს ყველაფერი. ჩანს, რომ ზოგიერთნი ადრე მიტინგებზე პირველობისა და ტაშს მიჩვეულნი — კარგავენ ძველ ფუნქციებს. ფუნქციადაკარგული ლიდერი კი, მოგეხსენებათ, გაკოტრებულია. ამიტომაც დროდადრო აურზაური ატყდება ხოლმე პარლამენტში, მავანი ცდილობს შეინარჩუნოს ფუნქცია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საპარლამენტო მუშაობასა და აზროვნებასთან, იმ გონებრივ თუ ზნეობრივ პრინციპებთან, რომლებიც გამოიმუშავა მსოფლიო ცივილიზაციამ.

ლიდერობის დაკარგვას კი, როგორც იცით, არც ისე იოლად ეგუება ტაშსა და ოვაციას მიჩვეული კაცი. მით უმეტეს, საქართველოში. ასე რომ, არ გამიკვირდება პარლამენტში ფუნქციამოშლილმა კაცმა სარეანიმაციოდ ისევ ქუჩას და მიტინგს მიაშუროს, ისევ ნგრევა და ქაოსი ინდომოს.

მანანა გიგინეიშვილი — სწორი ბრძანდებით. ეს ჩვენი ცხოვრების რეალობაა და ვერსად გავექცევით. მაგრამ ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ ნგრევა შენებით შევცვალოთ და ქვეყნის აღორძინებაზე ვიფიქროთ?

ხომ ვხედავთ, რომ დანგრეულია ყველაფერი, რისი დანგრევაც შეიძლებოდა — ცნობიერება, ეკონომიკა, სული, ზნეობა. უჭირს მრეწველობას, განათლებას, კულტურას. სულიერ ფასეულობათა აღდგენაზეც ხომ უნდა ვიზრუნოთ? — ეს კი ჩვენი ქვეყნის შიგნით არსებული ყველა ძალის ერთიანობით, ჩვენი საერთო მოქმედებითა და ძალისხმევით არის შესაძლებელი. დღეს დესტაბილიზაცია ხელს აძლევს იმ ძალებს, რომელთაც საქართველოს დაქცევა სურთ.

სამოქალაქო მოძრაობის დაფუძნების იდეა კარგა ხანია გაჩნდა. ჩვენთან მოდიოდნენ მოქალაქეები, გვთხოვდნენ გვერჩია, გამოგვენახა რაიმე გზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ჩვენი ქვეყნის აღორძინების პროცესში ფართო საზოგადოებრივი ფენების ჩაბმას. ადამიანებს სწამთ, რომ ეს ყველაფერი ურთიერთობებით, აზრთა გაზიარებით, კონკრეტული საქმის კეთებით უნდა დაიწყოს, ეს, როგორც იტყვიან, თვითორგანიზების პროცესი იყო, რომელსაც შემდგომ ჩვენც გამოვეხმაურეთ და აი, ასეთი სამოქალაქო მოძრაობის ფორმა გამოინახა. შეიქმნა სექციები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით სწავლობენ აქტუალურ პრობლემებს, მსჯელობენ, კამათობენ, ადგენენ პროექტებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, დაეხმარება პარლამენტსაც და მთავრობასაც ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას.

საყოველთაო სახალხო მოძრაობა უხმობს საქართველოს ყველა მოქალაქეს

გამოითქვა სურვილი, რომ სექციებში მუშაობის გარდა ადამიანები შეხვედროდნენ ერთმანეთს აზრთა გაზიარებისათვის... ასე გაჩნდა ამ მოძრაობასთან სადისკუსიო კლუბის შექმნის იდეა. დღეს ამ კლუბის წევრები არიან ჩვენი სახელოვანი მოღვაწეები, მათ გვერდით არის ნიჭიერი ახალგაზრდობა, სტუდენტობა, წარმოების, ბიზნესის წარმომადგენლები.

— ბატონო ელდარ, როგორც გახსოვთ, ასეთი გაერთიანების, თანადგომისა და ერთობლივი საქმიანობის გამოცდილება გვაქვს თბილისელებს. გახსოვთ, დეკემბერ-იანვრის ცნობილი ამბების შემდეგ, როცა დედაქალაქში ბევრი პრობლემა იყო გადასაწყვეტი, ამავე კინოსახლში თქვენ შეიფარეთ თბილისის სამოქალაქო თავდაცვის შტაბი ბატონ ოთარ ლითანიშვილის მეთაურობით, მაშინ მეც მხვდა პატივი, ბატონ ოთარის თხოვნით, ჩამომეყალიბებინა აქ პრესცენტრი, რომელიც იმ აშლილობისა და ქაოსის დროს აუცილებელი იყო ჩვენი ქალაქისათვის, საქართველოსათვის.

მახსოვს ისიც, სულ რაღაც ორიოდ დღეში როგორ ჩამოყალიბდა იმ დღეებში გახშირებულ ბანდიტიზმთან, ყაჩაღობასთან მებრძოლი რაზმები, როგორ გაჩნდა ქალაქში თბილისელთა პიკეტები. როგორ შევქმენით იმ დღეებში დაზარალებულ მოქალაქეთა დახმარების ფონდი, როგორ გამოვძებნეთ ბინები, სანოვაგე, ტანსაცმელი, ფულადი სახსრები უსახლკაროდ დარჩენილი თბილისელებისათვის. შტაბის გაზეთის რამდენიმე ნომრის გამოცემაც კი მოვახერხეთ.

იმ უხელისუფლებობის დროს თავად თბილისი, მისი მოქალაქეები იქცნენ ხელისუფლებად. არც სახელმწიფო, არც მთავრობა, მხოლოდ თბილისი და თბილისელობა იყო დაზარალებულთა შემწე-გამკითხავი, დამსახლებელი და დამხმარე, მთელი თბილისის პატრონი. ვინ არ იდგა ჩვენს გვერდით... აი მაშინ ნამდვილად ვიგრძენი, რომ თბილისი მართლაც თბილისობდა და თურმე შეგვძლებია გაერთიანება და თანადგომა.

ელდარ შენგელაია: — თუ მოვინდომეთ, ვიცოცხლეთ... ვერაფერი და ვერავინ დაგვიდგება წინ. მართლაც, ასე იყო იმ იანვარში. რომ იტყვიან, დუღდა თბილისი. ისე კი, ეტყობა ჯერაც ვერავინ მოვიცალეთ, რომ ეს ამბები აღვწეროთ და დავაფიქსიროთ. ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, რომ სწორედ ასეთი შემართება გვმართებს არა მარტო თბილისში, მთელ საქართველოში.

ვახტანგ როდონაია: — ქვეყანა თავზე გვექცევა, მთელი საქართველო კი მხოლოდ ლაპარაკობს. გაუთავებელ საუბარსა და მსჯელობას არა აქვს დასასრული. იქნებ გვეყო. ეგებ ამ უსაგნო ლაპარაკს შევუნაცვლოთ კონკრეტული საქმე.

ჩვენი ქვეყანა დაქსაქსულობის ნაცვლად გაერთიანების გზას უნდა დაადგეს. დღეს მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს ძალთა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი. ჩვენ კი რას ვაკეთებთ — ერთმანეთს ვშორდებით და თანაც ვუპირისპირდებით..

თუ გონს არ მოვეგეთ, დაიწყება ერის ცნობიერების დაშლა, მოვწყდებით ცივილიზებულ სამყაროს. ეს ხიფათს უქადის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროს.

დავით წერედიანი: — მართლაც, ისეთი ვითარებაა, რომ, თუ თავად საზოგადოებამ არ ითავა ამ პროცესის შეჩერება და ქვეყნის აღორძინება, ვერაფერს ვეშველით. დროზე თუ არ ვიმოქმედეთ, მაშინ უკანონობა, ძარცვა-გლეჯა, უპასუხისმგებლობა და განუკითხაობა წალეკავს ქვეყანას, კულტურული ფასეულობები თვალსა და ხელს შუა გვეკარგება. ნახეთ, რა ვითარებაა თუნდაც განათლების დარგში. მოიშალა სკოლა, ბავშვები სახელმძღვანელოების გარეშე რჩებიან. ისიც ვერ გამოგვიცია, რაც გაკეთებულია, მაშინ როცა ულიმღამო და მდარე ლიტერატურისათვის სტამბაც არის და ქაღალდიც იშოვება.

ვახტანგ როდონაია: ჩვენი მოძრაობის უმთავრეს მიზნად ის მესახება, რომ არც ერთი მოქალაქე, თუნდაც შორეულ სოფელში მცხოვრები, არ გაირიყოს ამ მოძრაობიდან, თითოეულის ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ, თორემ ეს მოძრაობა დარჩება ერთი მცირე ჯგუფის წამოწყებად და ვერ შეასრულებს თავის ძირითად მიზანს, ვერ შეუწყობს ხელს ქვეყნის აღორძინებას.

ელდარ შენგელაია: — ძალიან დიდი შრომა, მონდომება და ძალისხმევა დაგვჭირდება იმისათვის, რომ აქამდე მივიდეთ. ყველას ერთთავად გვესმის ასეთი კითხვა: — გვეშველება რამე?

ჩვენ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს, აი რა გვითხრა ამას წინათ გერმანიის ელჩმა თავის მოლოცვაში — ახლა შრომა გმართებთო, ქართველებო. მართალია ეს კაცი. ჩვენ დღეს რასაც ვუყურებთ გერმანიაში — ეს ხალხის შრომით, ერთობით არის შექმნილი. ამას კი მხოლოდ კონკრეტული საქმე სჭირდება.

— ღმერთმა დაიფაროს, ამ მხრივ იმედი გადაწურული გვქონდეს. საქმისა და შემართების ხალხი მართლაც გვყავს და ეს გვაძლევს იმედსაც და სტიმულსაც. ამ დღეებში ბათუმიდან დაბრუნდი. იქ საძმოდ და სათანამშრომლოდ ჩასულ რუსთაველებს ვახლდი და თავად დავრწმუნდი, თურმე რამდენი სასიკეთო კონკრეტული საქმის კეთება შეგვძლებია თუნდაც ამ გართულებულ სიტუაციაში. მუშაობს აჭარა, წამოიმართა რუსთავი, როგორც ვიცი, მალე თავის სიტყვას იტყვიან ქუთაისი, ფოთი, სხვა ქალაქები და რეგიონები. ასე რომ, ამ მხრივ ჩვენს მოძრაობას მძლავრი საიმედო დასაყრდენი აქვს. იგი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და მთელი საქართველოს კუთვნილება გახდეს.

ვახტანგ როდონაია: — ჩემი აზრით, სასიამოვნო და საგულისხმო ის არის, რომ საზოგადოებრიობამ მას შემდეგ, რაც თქვენი გაზეთის მეშვეობით მიიღო ინფორმაცია ჩვენი მოძრაობის შესახებ, მეტად ფართო ინტერესი გამოამჟღავნა. მოდიან, მოაქვთ წინადადებები, ყოველდღიურად საქმეში ერთვებიან ჩვენი მეცნიერები, ლიტერატორები, მწერლები, ხელოვნებისა თუ ტექნიკის სფეროში მოღვაწე ადამიანები, ბიზნესმენები, საწარმოების, დაწესებულებების მუშაკები. რომ იტყვიან, ყინული მართლაც დაიძრა.

ელდარ შენგელაია: — სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ დღეს დასავლეთში არ არსებობს ისეთი დიდი ფირმა, რომელსაც თავისი საქველმოქმედო ფონდი არ ჰქონდეს. ფირმა, რომელიც არ ეხმარება კულტურას, სპორტს, ჰუმანიტარულ სფეროს, — საერთოდ არ არსებობს.

მოგეხსენებათ, ქართული ბიზნესი ახლა ყალიბდება. მისი ურთიერთობა კულტურასთან მეტად სასარგებლო იქნება როგორც თვით ბიზნესისათვის, ისე საზოგადოებისათვისაც.

— ბატონო ელდარ, სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, მაგრამ ამ მხრივ არც ჩვენ ვყოფილვართ ჯაბანნი. ახლახან ერთი ჩვენი უმძლავრესი საწარმოს — რუსთავის მეტალურგიული კომბინატის საქველმოქმედო საქმიანობას გავეცანი და პირდაპირ სახტად დავრჩი. ყველაფერ დანარჩენს რომ თავი დავანებოთ, ამ დალოცვილებს ლამის არის ნახევარი საქართველო აუშენებიათ ამ გაჭირვების ჟამს. რუსთავის თეატრი, თვით ჩვენი სახელოვანი ანსამბლი „რუსთავი“ მათი ჩაცმულ-დახურული და დაპურებულია.

ღვთის წყალობით, სხვაც ბევრი გვყავს ასეთი.

დავით წერედიანი: — პირადად მე დიდ იმედს ვამყარებ ამ მოძრაობაზე. იმედის საფუძველს ის მაძლევს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს სურს, ბოლოს და ბოლოს, შეიქმნას შრომის ატმოსფერო და ბოლო მოეღოს განუკითხაობას. მიუხედავად პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებისა, პოლიტიკაში ჩათრევას ამ მოძრაობის ბევრი მონაწილე, და მათ შორის მეც, სრულიადაც არ ვაპირებთ, მაგრამ ის მიზნები, რომლებიც ამ მოძრაობას გააერთიანებს, ჩემი აზრით, ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა დგას.

ელდარ შენგელაია: — ჩვენი მოძრაობის მონაწილე თბილისელმა მეცნიერებმა უკვე ჩამოაყალიბეს რეფორმების ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც მალე წარმოადგენს თავის პროგრამას.

მანანა გიგინეიშვილი: — რაკი ამ მოძრაობაში პარლამენტარებიც ვართ ჩართული, ცხადია, შევეცდებით, რომ დარგობრივ სექციებში შექმნილი პროგრამები, აზრი, კონცეფცია თუ წინადადება მივიტანოთ პარლამენტამდე. საზოგადოებიდან, სამოქალაქო მოძრაობიდან წამოსული პროფესიული აზრისა თუ წინადადებების გათვალისწინება, იმედი გვაქვს, მნიშვნელოვნად დაგვეხმარება პარლამენტარებსაც და მთავრობასაც. გვჯერა, რომ სხვა პარლამენტარებიც შემოუერთდებიან ჩვენს მოძრაობას.

დავით წერედიანი: — მართლაც, სასიამოვნოა, რომ ამ მოძრაობას უკვე ბევრი გამოეხმაურა. ამას წინათ მოსკოვიდან ხმა მოგვაწვდინა ქალბატონმა ელისო ვირსალაძემ, მხარდაჭერა და დახმარება აღგვითქვა. ვფიქრობ, მალე ჩვენი ბევრი სხვა სახელიანი თუ უსახელო მოღვაწეც შემოუერთდება ამ მოძრაობას, ერთმანეთს მხარში ამოვუდგებით და ერთად ვეცდებით ქვეყნის აღორძინებას.

— ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი!

• • •

სურათზე: მანანა გიგინეიშვილი, ელდარ შენგელაია, ვახტანგ როდონაია, დავით წერედიანი რედაქციაში.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

აქტუალური ინტერვიუ

იმედი ნუმც მოგვშლოდეს!

ანუ „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი“ ფრთებს შლის...

„გულწრფელად მივესალმები ახალი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი გაერთიანების „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ შექმნას.

უკანასკნელ ხანებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ბევრი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა, რომლებიც უანგაროდ და დაუღალავად იღვწიან დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზაზე დამდგარი საქართველოს ინტერესებისათვის. მე ღრმად მჯერა, რომ თქვენი ორგანიზაცია მთელი პატრიოტული შემართებით ჩადგება მათ რიგებში“... ასეთი შინაარსის მისასალმებელი ბარათი გაუგზავნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ პრეზიდენტს რეზო ჩხეიძეს.

ეს ფაქტი ახლად დაარსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის მნიშვნელობაზე მიუთითებს.

რეზო ჩხეიძეს ფართო მკითხველის წინაშე საგანგებო წარდგენა არ სჭირდება. თუმცა მაინც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ის გახლავთ ერთ-ერთი იმათგანი, ვინც თავისი შემოქმედებით შორს გაუთქვა სახელი ჩვენს სამშობლოს. ასე იყო იმ ე. წ. — „უძრაობის პერიოდშიც“, ასე იყო მანამდეც და ამჟამადაც მის საკეთილდღეოდ იღვწის. კინორეჟისორს, მსოფლიოში დაფასებულ პიროვნებას საქმეს რა გამოულევს, მაგრამ ბ-ნი რეზო, ეს უნიჭიერესი და ფუტკარივით დაუცხრომელი ადამიანი, დღენიადაგ მაინც იმის ცდაშია, რით არგოს მამულს და გამუდმებით ახალ-ახალ ნიადაგს ეძებს სამისოდ. „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ შექმნის ერთერთი ორგანიზატორიც თვითონ არის. ალბათ, მკითხველი დაგვეთანხმება, თუ რა საშური და მამულიშვილური საქმეა ყოველთა ქართველთა, ფიზიკურად თუ არა, სულიერად თავმოყრა მაინც, რამეთუ ჩვენ ერთნი ვართ ამ უკიდეგანო სამყაროში. დედა საქართველო ყველასათვის ერთია, ყოველი ქართველი ტკბილი შვილია საქართველოსი.

სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ ვეწვიეთ კინოკონცერნ „ქართული ფილმის“ თავკაცს, „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ პრეზიდენტს რეზო ჩხეიძეს.

— ბატონო რეზო, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს დროში ყოველგვარი იდეის ხორცშესხმას მატერიალური ბაზა სჭირდება — ვინ ამოგიდგათ მხარში, ვინ გეხმარებათ?

— ჩვენი კონგრესი საზოგადოებრივ საწყისებზე აგებული ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, და სახელმწიფო სტრუქტურებს არ ექვემდებარება. გვყავს სპონსორები, რომლებიც ჩვენს ფინანსურ ფუძეს შეადგენენ. მათ შორის უმთავრესია ფირმა „ბანი და კომპანია“ (პრეზიდენტი — ბადრი ნინუა), სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკა“ (თავმჯდომარე — ალუ გამახარია). ჩვენი დამფუძნებლები არიან თსუ, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, საავიაციო ქარხანა, ფოთის გემთსაშენებელი ქარხანა, მონაწილეობენ, აგრეთვე, ბათუმის, მოსკოვის, პეტერბურგის ქართველთა სათვისტომოები.

საქართველოში არის ამის ტრადიცია. გადავხედოთ თუნდაც გასულ საუკუნეს. ბევრი რამ, რაც საქველმოქმედო საქმე გაკეთებულა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, იმ რამდენიმე ქართველ ბიზნესმენს ეკუთვნის, ჩვენ რომ გვყოლია — სარაჯიშვილს, ძმებს ზუბალაშვილებს, ხოშტარიას და სხვებს. მჯერა, რომ დღევანდელი სარაჯიშვილებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

— რას გვეტყოდით თქვენი საზოგადოებრივი გაერთიანების მიზანზე?

— მიზანი ჩვენი კონგრესისა არის ეროვნული ინტერესების გაერთიანება, უარვყოფთ ადამიანების დაყოფას სხვადასხვა პარტიულ საწყისებზე. პირველ რიგში ვაყენებთ ეროვნულ მოტივს. ეს იქნება ერთგვარი პლაცდარმი ეროვნული ერთიანობისა. ამასთან, უნდა მოვიზიდოთ ქართველი ერის მეგობრები. წარმოუდგენელია ასეთი კონგრესის ჩატარება, თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებენ ისეთი დიდი სათვისტომოები, როგორიც აქვთ საქართველოდან წასულ ებრაელებს ისრაელში, ამერიკაში. ჩვენი მიზანია, ყველასი და ყველაფრის ჩაყენება ქვეყნის სამსახურში.

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ დღევანდელ დუხჭირ პირობებში ამგვარი ამოცანების შესრულება?

— საქართველოს გაჭირვებით ვერავინ გააკვირვებს. როცა ვუყურებთ აშენებულ ეკლესია-მონასტრებს, ციხე-სიმაგრეებს, როცა ვისმენთ ქართულ სიმღერებს, ვხედავთ რა დიდი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა საქართველო. უმთავრესად ასე გვგონია, რომ ყველაფერი ეს დალხინებულ დროსაა შექმნილი.

არადა, ვინ ჩამოთვლის იმ სისხლსა და ნგრევას, რაც ქართველ ერს განუცდია, მაგრამ საქართველო მაინც შენდებოდა. და სწორედ ამიტომაც მჯერა, რომ ჩვენი ერი დღესაც იპოვის საკუთარ თავში ფეხზე დადგომის ძალას. ეს ჩემი სიტყვები ლიტონი რომ არ იყოს და ლოზუნგებს არ დაემგვანოს, სწორედ ამიტომ ვამბობ: — საჭიროა მუხლჩაუხრელი, ყოველდღიური შრომა. ზუსტად უნდა ვიცოდეთ რა გვაქვს დღევანდელ დღეს, რა სიმდიდრის პატრონი ვართ და, ამავე დროს, ისიც ჩამოვაყალიბოთ, რა გვინდა უცხოეთიდან.

— პრაქტიკულად როგორ გაქვთ წარმოდგენილი ყოველივე ამის ხორცშესხმა?

— კონგრესის ჩატარებას შემოდგომაზე ვაპირებთ, ალბათ, ოქტომბერში. ამ თარიღისთვის გაცხოველებით ვემზადებით. როგორც ვთქვით, მოვიწვევთ უცხოეთიდან როგორც ქართველებს, ისე ჩვენს უცხოელ გულშემატკივრებს. იმისათვის, რომ ეს არ იყოს მხოლოდ შეხვედრების და სულიერი ტკბობის სიხარული (თუმცა ესეც ძალიან მნიშვნელოვანია), შევქმენით მთელი რიგი პალატები (კომისიები), რომლებიც ჩვენი ცხოვრების ყველა დარგს ეხება. მაგალითად: არსებობს მედიცინის პალატა, სოფლის მეურნეობის, კულტურის პალატა... ამ პალატაში გაერთიანებული არიან და მას ხელმძღვანელობენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები.

პალატები კონკრეტულად სწავლობენ ამა თუ იმ დარგის პრობლემებს. ამის საფუძველზე კინორეჟისორი გია ჩუბაბრია და მწერალი ამირან ჭიჭინაძე ქმნიან ვიდეოფილმებს, სადაც დოკუმენტურად, ციფრებით, სქემებით და თვალსაჩინო მასალით მოთხრობილი იქნება საქართველოს ყველა დარგის პოტენციალზე, შესაძლებლობებზე, სად რა დევს, რით შეგვიძლია დავაინტერესოთ ჩვენი უცხოელი პარტნიორი. ვთქვათ ელექტროფიკაცია: — რამდენი გვაქვს წყალი, ელექტროსადგური, რა გვინდა? ჩავრთავთ მსოფლიოს წამყვან სპეციალისტებს. ვერ ვიტყვით, რომ ეს ძიება ცარიელ ადგილზე ხდება. როგორც აღმოჩნდა, გასულ წლებში მიმდინარეობდა ამ მიმართულებით მუშაობა. თუმცა ეს ანალიზი ბოლომდე მიყვანილი არ არის და გარკვეული განზოგადება აკლია.

გარდა ვიდეოფილმებისა, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროდან მოვამზადებთ მცირე მოცულობის ბუკლეტებსაც. ასევე ვფიქრობთ, ამაში სათანადო დახმარებას გაგვიწევენ შესაბამისი სამინისტროები, ეს ხომ მათთვისაც მეტად საჭირო საქმე იქნება. ბუკლეტები დაინტერესებულ პირს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ამა თუ იმ დარგზე. ამის შემდეგ, იმედი გვაქვს, ჩამოსული სტუმრები კონკრეტულად მოელაპარაკებიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლებს, ისე კერძო ფირმებს.

— თქვენ იმედოვნებთ, რომ დღეს ჩვენს კერძო სტრუქტურებზე დაყრდნობა შესაძლებელია?

— საქართველოს ხვალინდელი დღე და მისი სტაბილურობა სხვანაირად წარმოუდგენელია. დღევანდელი დღის სირთულეები, გარდა პოლიტიკური სიტუაციებისა, გამოწვეულია იმით, რომ მაშინ, როდესაც ინგრეოდა ძველი ეკონომიკის მმართველობის სისტემა, არ არსებობდა ახალი.

ეს არის დღევანდელი დღის აბსურდული მდგომარეობა. ასეთივე მდგომარეობაშია ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკა. გამოსავალი ერთია: რაც შეიძლება სწრაფად შევიგნოთ იმას, რომ ახალი საზოგადოების აშენების საფუძველი კერძო საკუთრებაშია და რაც შეიძლება მალე მოვახდინოთ პრივატიზაცია. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ პრივატიზაციას ყველა ობიექტი უნდა დაექვემდებაროს. რა თქმა უნდა, სახელმწიფომ თავის გამგებლობაში უნდა დაიტოვოს მნიშვნელოვანი ცენტრები, მათ შორის კულტურის კერები. მაგრამ ამ პროცესის დაჩქარება კი აუცილებელია. მასზეა დამოკიდებული ეკონომიკის სტაბილიზაცია. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის სამკურნალოდ სხვა წამალი არ არსებობს, ამიტომ საჭიროა გამბედაობა და ამ ნაბიჯის გადადგმა. თქვენ შეიძლება გაიკვირვოთ, რომ სიტყვა გამბედაობა ვიხმარე. მართლაც, გამბედაობაა საჭირო. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის მაგალითები, რომლებიც სამყაროში უხვადაა. კაპიტალისტური ქვეყნები ამ გზით მიდიან და დიდ წარმატებებსაც აღწევენ. გასაგებია, რომ კაპიტალიზმს აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ ჯერჯერობით სხვა უკეთესი ეკონომიკური სტრუქტურა მსოფლიოს არ შეუქმნია. დარწმუნებული ვარ, რომ თუ არა 1917 წლის მწარე ისტორია, საქართველო დიდი ხანია ერთ-ერთი აყვავებული და მაღალგანვითარებული ქვეყანა იქნებოდა, ისეთი, როგორიცაა ჰოლანდია, დანია, შვეცია და სხვა.

საზღვარგარეთთან, უცხოეთის კულტურასთან და მის გამოცდილებასთან დამაკავშირებელი ძაფები, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით წარსულშიც ბევრი გვქონია და დღესაც გვაქვს. ალბათ, ესეც ანგარიშგასაწევი ფაქტორია.

— როგორია თქვენი სამერმისო ამოცანები?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და პირადად ბატონმა როინ მეტრეველმა შემოგვთავაზა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დარბაზი, სადაც სისტემატიზებული და გამოფენილი იქნება პროფესორ გურამ შარაძის მიერ წლების მანძილზე უცხოეთიდან ჩამოტანილი რელიქვიები, საარქივო მასალა, ჟურნალ-გაზეთები, კინოფირები. ეს იქნება საქართველოს ემიგრაციის მუზეუმი. გვიხარია, რომ იგი ჩვენი საზოგადოების და პირადად ბატონ გ. შარაძის ინიციატივითა და თაოსნობით შეიქმნა და მისი ლენტი სწორედ კონგრესის გახსნის დღეს გადაიჭრება. ამავე დროს შეიქმნება ფილმები. რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი აკეთებს სრულმეტრაჟიან ფილმს აფხაზეთზე. მას ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია ჟურნალისტმა ნანა ღონღაძემ.

ეს მნიშვნელოვანი სურათი, რომელიც ობიექტურად განიხილავს აფხაზეთის ისტორიას, მის გენეზისს და მთელ რიგ პრობლემებს (სოციალურს, ეკონომიკურს და სხვ.), მაყურებელს ამავე დროს მოუთხრობს დღევანდელ კონფლიქტზე. და თუ საზარელი ომის საკითხი მშვიდობიანად გადაწყდა, სურათის ფინალიც ეს იქნება. ამ ფილმმა უნდა გამოხატოს ის სიმართლე, რომელიც ჩვენ უნდა მოვუყვეთ მთელ მსოფლიოს საქართველოს შესახებ. ვეცდებით, რომ მან გზა იპოვოს მსოფლიოს ყველა სატელევიზიო ეკრანზე. ამავე დროს შეიქმნება მცირე მოცულობის სურათი იმ არქივზე, რომელიც საქართველოდან 1921 წელსაა გატანილი და ამჟამად საზღვარგარეთ სხვადასხვა საცავებში ინახება. არადა, ეს არქივი მოიცავს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს. ფილმის შექმნის ამოცანაა, რომ ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება, კარგად გავაგებინოთ, თუ რა როლი შეუძლია ითამაშოს საქართველოში ასეთი არქივის ჩამოტანამ.

მიუხედავად იმისა, რომ „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი“ საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ჩვენ ურთიერთობას ვამყარებთ საპარლამენტო სტრუქტურებთან, მთელ რიგ სამინისტროებთან. განსაკუთრებით ადამიანთა უფლებების დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტთან.

როგორც ხედავთ, ამოცანები დიდი და მასშტაბურია. იმედი გვაქვს, შევძლებთ დასახულის წარმატებით ხორცშესხმას...

მაშ ასე, საფუძველი იყრება საზოგადოებას, რომლის მიზანია ყოველთა ქართველთა გაერთიანება. უფრო სანატრელი, უფრო დიდი მიზანი ქართველ ერს არ გააჩნია. იმედი ნუ მოგვეშალოს.

ესაუბრა
მზია გელენავა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა

აცხადებს მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

1. წარმოების ეკონომიკა და მართვა-მენეჯერი დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება (ქართული სექტორი);
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება (ქართული და რუსული სექტორი);
3. ვაჭრობის ეკონომიკა და მართვა-მენეჯერი დღისა და საღამოს დასწრებული სწავლება, (ქართული სექტორი);
4. საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი დღისა და საღამოს დასწრებული, (ქართული სექტორი).

ბიზნესის და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად. სწავლების ვადა 4 წელია. უმაღლესი განათლების მქონე პირები მიიღებიან უგამოცდოდ უმაღლესი სასწავლებლის მე-2 კურსზე.

დღისა და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი); 2. საქართველოს ისტორია (ზეპირი).

უმაღლეს სკოლაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან არსებული ცენტრის „ეკონომიკური განათლების“ მენეჯერთა და ბიზნესის ერთწლიანი სკოლის კურსდამთავრებულები.

თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაიცავენ სადიპლომო ნაშრომს და ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდას, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიეცემათ უმაღლესი განათლების დიპლომი.

თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლეს სკოლაში სწავლა ფასიანია. სტუდენტის სწავლის საფასური წელიწადში როგორც დღის, ისე საღამოს განყოფილებაზე სპეციალობების მიხედვით დიფერენცირებულია:
1. ვაჭრობის ეკონომიკა და მართვა-მენეჯერი — 15000 მანეთი;
2. წარმოების ეკონომიკა და მართვა-მენეჯერი — და საფინანსო და საკრედიტო საქმიანობის მენეჯერი — 20000 მანეთი;
3. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის მენეჯერი — 25000 მანეთი.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება ნაღდ ანგარიშზე და აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესით. სასწავლო წლების სწავლების საფასური დადგინდება ინფლაციის დონის შესაბამისად.

სასწავლო წლის დასაწყისში უმაღლესი სასწავლებლის რექტორატსა და სწავლის ქირის გადამხდელებს შორის ფორმდება ხელშეკრულება ურთიერთვალდებულებათა შესახებ.

უმაღლეს სკოლაში შემსვლელებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი; 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 086); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. 6 ცალი ფოტოსურათი ზომით (3X4); 5. პასპორტსა და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად. საბუთების შემოტანის დროს აბიტურიენტი საორგანიზაციო ხარჯებისათვის იხდის 1000 მანეთს.

უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული აბიტურიენტები ვალდებულნი არიან სწავლის წლიური საფასური გადაიხადონ ჩარიცხვის სიების გამოქვეყნებიდან ათი დღის ვადაში.

საბუთების მიღება იწარმოებს 21 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დღის 12-დან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 3 აგვისტოდან განრიგის მიხედვით.

მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, ა. წერეთლის პროსპექტი 42, 166-ე საშუალო სკოლის შენობა (მეტრო სადგურ „წერეთელთან“). ტელეფონები: 34-36-97; 35-10-12; 99-68-97; 99-96-46.

რექტორატი

საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ - სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების ქართულ და რუსულ სექტორებზე ჩასარიცხად შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

დასწრებულ სწავლებაზე:

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორი) სპეციალობით: ა) ზოოინჟინერი; ბ) ზოოინჟინერ-ტექნოლოგი; გ) რძისა და ხორცის პროდუქტების გადამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი.

დაუსწრებელი სწავლების

ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე (ქართული და რუსული სექტორი) სპეციალობის ზოოინჟინერი.

ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტის დასწრებულ (ქართული და რუსული სექტორი) და დაუსწრებელ (ქართული სექტორი) ფაკულტეტზე სპეციალობით ფართე პროფილის ვეტერინარი ექიმი.

ინსტიტუტში ასაკის შეუზღუდავად მიიღებიან საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩარიცხვისათვის საჭირო პირობებს.

დაუსწრებელი განყოფილების ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტზე მიიღებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ საშუალო ვეტერინარული განათლება.

ინსტიტუტში შესვლისას ყველა აბიტურიენტს თანაბარი უფლებები აქვს. სწავლების ყველა ფორმაზე კონკურსი ფაკულტეტებისა, სპეციალობებისა და სექტორების მიხედვით ეწყობა.

აბიტურიენტებმა, რომლებმაც არაქართული სკოლა დაამთავრეს და სურთ ინსტიტუტში სწავლა ქართულ სექტორზე, აბარებენ ქართულ წერას, წაკითხულის შინაარსს.

ქართული სკოლის კურსდამთავრებული აბიტურიენტები, რომლებიც შედიან რუსულ სექტორზე, გამოცდას აბარებენ რუსულ ენასა და ლიტერატურაში ეროვნული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამით. სხვა საგნები მათ შეუძლიათ ჩააბარონ ქართულად.

ინსტიტუტში შესვლის მსურველებმა განცხადებას მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ უნდა დაურთონ შემდეგი საბუთები:
1. **საშუალო განათლების ან საშუალო სპეციალური განათლების დოკუმენტის დედანი.**
2. **ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.**
3. **ექვსი ფოტოსურათი (3.4)**

პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად.

საბუთებთან ერთად აბიტურიენტმა უნდა შემოიტანოს მიმღები კომისიის შრომის საფასური 500 კუპონი.

საბუთების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ყოველდღე გარდა შაბათისა და კვირისა 10 საათიდან 15 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 23 ივლისიდან ფაკულტეტებისა და სპეციალობების მიხედვით შემდეგ საგნებში:

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე სპეციალობით: ა) ზოოინჟინერი, ბ) ზოოინჟინერ-ტექნოლოგი - ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა). მესამე საგამოცდო საგანს დასახელებულ სპეციალობებზე აბიტურიენტი აირჩევს სურვილის მიხედვით შემდეგი საგნებიდან: ქიმია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი). გ) რძისა და ხორცის პროდუქტების გადამუშავების ინჟინერ-ტექნოლოგი — მათემატიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მესამე საგანს აბიტურიენტი აირჩევს შემდეგი საგნებიდან: ქიმია (წერა), ფიზიკა (წერა).

დაუსწრებელი სწავლების ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე სპეციალობის ზოოინჟინერი — ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ვეტერინარული მედიცინის ფაკულტეტის დასწრებულ და დაუსწრებელ სწავლებაზე სპეციალობით ფართე პროფილის ვეტერინარი ექიმი—ბიოლოგია (ზეპირი), ქიმია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ინსტიტუტში აბიტურიენტთა ჩარიცხვა მოხდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილი ქულათა ჯამის მიხედვით.

ღია კარის დღე ჩატარდება 5 ივლისს 11 საათზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში, მისამართით: თბილისი — კრწანისი, ავტობუსი 236, ტელეფონი 72-11-64.

საბროკერო ფირმა «ბროკჯორჯია»

ნებისმიერი საქონლის ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა

ფირმა დაგეხმარებათ:

— ვიდეო, აუდიო ტექნიკის, სამრეწველო საქონლის, სამშენებლო მასალების, სურსათის, უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვასა და რეალიზაციაში.

— აქციებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვაში.

აგრეთვე

ვალუტის ყიდვა-გაყიდვაში როგორც ნაღდ, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით.

ბროკჯორჯია თანაბარი წარმატებით ვაჭრობს კავკასიის ბირჟაზე, რუსეთის საავტომობილო ბირჟაზე, ურალის-ციმბირის და თბილისის უნივერსალურ ბირჟებზე.

მოგვმართეთ მისამართზე: სასტუმრო «აჭარა», ოთახი 106, 119 ტელეფონი: 36-92-36 და 36-92-49. დარეკეთ 14-დან 18 საათამდე.

თბილისის ფასიანი მედიკო — ბიოლოგიური კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1993–94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე.

1. სამეანო საქმე (ბებია ქალი)
2. სამკურნალო საქმე (საფერშლო)

ორივე სპეციალობაზე მიღება იწარმოებს ქართულ და რუსულ სექტორებზე, როგორც არასრული (9 კლასის ბაზა) ისე სრულ საშუალო სკოლის ბაზაზე.

განცხადებას დირექტორის სახელზე თან უნდა დაერთოს
1. სრული ან არასრული საშუალო სკოლის განათლების ატესტატი (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა ფორმა 086უ
3. 6 ფოტოსურათი 3.4-ზე

საბუთების მიღება ყოველდღიურად, კვირის გარდა 15 ივნისიდან 30 ივლისამდე. 11 საათიდან 15 საათამდე.

ჩარიცხვა გასაუბრებით, ეტაპობრივად (არასრული საშ.სკოლის ბაზაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა და ანატომია, სრული საშ. სკოლის ბაზაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა და ბიოლოგია).

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ქავთარაძის ქ. 23 მე-2 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა. ტელეფონი 30-49-92.

ყურადღება!

უმაღლესი სამედიცინო განათლების ცენტრთან არსებული ფასიანი სამედიცინო კოლეჯი, რომელიც უკვე ორი წელია წარმატებით ფუნქციონირებს,

აცხადებს აბიტურიენტების მიღებას 1993-1994 სასწ. წლისათვის,

შემდეგ სპეციალობებზე:
1. სამკურნალო ფაკულტეტი — ქართული სექტორი;
2. ორთოპედიული სტომატოლოგიის ფაკულტეტი — ქართული სექტორი.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ორივე სქესის აბიტურიენტები ასაკის მიუხედავად, რომელთაც აქვთ არასრული და სრული საშუალო განათლება. მიმღებ კომისიას უნდა წარუდგინონ 9 კლასის ან 11 კლასის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამედიცინო ფორმა - 086 და 2 ფოტოსურათი (3 4).

მისაღები გამოცდები ჩატარდება დიფერენციალური გასაუბრების სახით.

საბუთების მიღება დაიწყო 10 ივნისიდან და გაგრძელდება 5 სექტემბრამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 10 სთ-დან 15 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება ეტაპობრივად და დამთავრდება 10 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 13 სექტემბრიდან.

კოლეჯის სასწავლო და კლინიკური ბაზები განლაგებულია ქალაქის წამყვან კლინიკურ საავადმყოფოებში.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ მათ მიეცემათ საშუალება გააგრძელონ სწავლა ფასიან სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც მოხვდებიან დიფერენციალური გასაუბრების საფუძველზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ცენტრი. რკინიგზის სადგურთან, კონსტიტუციის ქ. 6, ფიზკულტურის ტექნიკუმის შენობაში, მეორე სართულზე, კაბინეტი 15 „მიმღები კომისია“.

გეპატიჟებათ «მთის ბროლი» ურეკსა და ბაკურიანში

საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმია“ გთავაზობთ საოჯახო (ორ, სამ და ოთხადგილიან) საგზურებს კომფორტულ დასასვენებელ ბაზებში ურეკსა და ბაკურიანში 1-ლი ივლისიდან.

კურორტ ურეკში

დასასვენებელ ბაზას აქვს კვების ბლოკი, კლუბი, ვიდეობარი, ღია სპორტული მოედნები, საკუთარი პლაჟი და საკუთარი კატარღა. კორპუსის სახურავზე განლაგებულია იახტის ტიპის ღია კაფე-ბარი.

ზღვა, მზე და მაგნიტური ქვიშა შესანიშნავ პირობებს ქმნის დასვენებისათვის. აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა, პერიფერიულ სისხლძარღვთა, ცენტრალური ნერვული სისტემის, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

კურორტ ბაკურიანში

დამსვენებლების განკარგულებაშია სასადილო კორპუსი, კლუბი, საუნა, ვიდეოთეკა.

სამედიცინო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ბუნებრივი კლიმატური პირობები — მთის ჰაერი, მზის ხანგრძლივი ნათება, ულტრაიისფერი სხივების მაღალი დონე საუკეთესო შედეგებს იძლევა სისხლნაკლულობის, ლიმფადენიტის, სასუნთქ ორგანოთა ქრონიკულ არატუბერკულოზურ დაავადებათა მკურნალობისას.

ურეკი და ბაკურიანი განსაკუთრებით ეფექტურია ბავშვებისათვის.

საგზურების შეძენა შეგიძლიათ როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის პროსპექტი, 142, „სამთო ქიმია“, ოთახი 22, ტელ. 34-13-30.

თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი „აჭარა“ აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1993-1994 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. ჟურნალისტიკა; 3. ისტორია; 4. ღვინის წარმოების ტექნოლოგ-მენეჯერი; 5. ხორცისა და რძის წარმოების ტექნოლოგ-მენეჯერი; 6. პურ-პროდუქტებისა და საკონდიტრო მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; 7. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ორგანიზაცია; 8. ფინანსები და კრედიტი; 9. საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი; 10. სამართალმცოდნეობა; 11. სასურსათო საქონელმცოდნე კომერსანტი და ექსპერტი; 12. სამრეწველო საქონელმცოდნე კომერსანტი და ექსპერტი.

უნივერსიტეტში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე აბიტურიენტები, ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების წესით. სწავლის ქირა პირველ კურსზე 50000 მანეთია ნაღდი ანგარიშსწორებით, ან 60000 მანეთი გადარიცხვით. გასაუბრების ორგანიზაციისათვის აბიტურიენტი იხდის 1000 მანეთს.

საბუთები მიიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 10-დან 17 საათამდე ა. წ. 15 სექტემბრამდე.

სხვა უმაღლესი სასწავლებლის დადებითქულიანი აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების გარეშე. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: — ატესტატი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ოთხი ფოტოსურათი (3X4), მიწერის მოწმობას და პასპორტს წარმოადგენს პირადად. რაიონიდან ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

უნივერსიტეტის მისამართია:
თბილისი, ვარდისუბნის ქუჩა 8, 133-ე საშუალო სკოლა (მეტრო „ღრმაღელესთან).
ტელეფონი: 61-28-80.

ყველა მსურველს!

თქვენი დანაზოგის 200 პროცენტიდან 300-მდე გაზრდას გთავაზობთ საფინანსო-სატრასტო კომპანია

„კონტინენტ-ინტერნეიშენელ“-ი.

მიიღება როგორც კუპონები, ასევე მანეთები. პასპორტის ქონა თან სავალდებულოა.

კომპანია იღებს ტრასტში წარმოების მიერ გამოშვებულ ნებისმიერ პროდუქციას. ჩვენ გადავაქცევთ თქვენს პროდუქციას კონკურენტუნარიანად. იმ ორგანიზაციებისგან, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება კომპანიის მოგებაში, მიიღება პროდუქცია ღირებულებით არა ნაკლებ 40 000 000-სა.

სანაცვლოდ კომპანიას შეუძლია ორგანიზაციებს ნებისმიერი რაოდენობით მიაწოდოს საკვები პროდუქტები, ფართო მოხმარების ნაწარმი, ახალი ტექნოლოგიები და მოწყობილობები.

კომპანია განიხილავს იმ ორგანიზაციების ნებისმიერ საინტერესო წინადადებებს ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე, რომლებსაც უნდათ უბრალოდ გაყიდონ თავისი პროდუქცია.

ჩვენი მისამართია: მარჯანიშვილის ქ. 24-89, „თბილქალაქპროექტ“-ის შენობა, კორპუსი მე-3, სართული მე-8

ტელეფონი: 96-43-71.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

იმედისმომცემი გეგმები დაისახა

ახლახან რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია კახეთს, კერძოდ — თელავს, გურჯაანსა და საგარეჯოს ეწვია.

ამ რაიონების კავშირგაბმულობის საწარმოებში შექმნილია მძიმე მდგომარეობა, ხშირად ირღვევა პრესით უზრუნველყოფის გრაფიკი, არის შემთხვევები, როდესაც გაზეთები არ მისდით ხელმომწერლებს, ცუდად მუშაობს ადგილობრივი ტელევიზია, შეფერხებებია ადგილობრივი ავტომატური სატელეფონო სადგურების მუშაობაში, დაზიანებულია შემაერთებელი ხაზები თბილისთან, რის გამოც ფერხდება საქალაქთაშორისო კავშირები. კავშირგაბმულობის შენობები აუცილებელი კაპიტალური რემონტების ჩატარებას მოითხოვს. რაიონების კავშირგაბმულობის დარგის მუშაკებთან შეხვედრის დროს გამოითქვა უკმაყოფილება კავშირგაბმულობის მუშაკთა დაბალი ხელფასების გამო.

აქვე გაირკვა, რომ რაიონების ადგილობრივ საქმიან წრეებს ესაჭიროებათ ოპერატიული ინფორმაციების მიღება-გადაცემა, რასაც ისინი დღისდღეობით მოკლებულნი არიან. ამისათვის რაიონულ კვანძებში შეიქმნება სპეციალური პუნქტები მონაცემთა გადაცემის სისტემების გასამართავად (ფაქსი, ტელექსი, კომპიუტერები).

ოპერატიულად იქნა შედგენილი ღონისძიებათა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს ხელმძღვანელობისა და დარგობრივი სამმართველოების უფროსების პერსონალური პასუხისმგებლობით არსებული ნაკლოვანებების უმოკლეს ვადაში აღმოფხვრას.

ფეროშენადნობთა ქარხანაში

გასული წლის ბოლოს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მასობრივად დაიწყეს კალციუმის კარბიდის წარმოება. ამ მეტად საჭირო და დეფიციტურ მასალას როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში ძალზე ბევრი მომხმარებელი ჰყავს.

ქარხნის პირველ საამქროში, საიდანაც ეს პროდუქცია გამოდის, დღითიდღე ხვეწენ კალციუმის კარბიდის წარმოების ტექნოლოგიას, აუმჯობესებენ მის ხარისხს. აქვე საამქროში დამონტაჟდა მზა პროდუქციის დამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი, რამაც გააუმჯობესა შრომის პირობები და აამაღლა მისი ნაყოფიერება. პროდუქციის დამსხვრევა, დახარისხება და შეფუთვა მთლიანად მექანიზებული გახდა. მოთხოვნის კვალობაზე აქ შეუძლიათ დამატებით აამოქმედონ კიდევ ერთი ღუმელი, რომელიც ერთიორად გაზრდის წარმოების მოცულობას.

ეს ტექნიკური სიახლე წლის ბოლოს საწარმოს, წინასწარი გაანგარიშებით, ნახევარი მილიარდი მანეთის მოგებას მოუტანს.

• • •

იმის გამო, რომ ქარხნის პროდუქცია სათანადოდ ფრაქციებად არ იმტვრეოდა და არ ხარისხდებოდა, იგი მსოფლიო ბაზარზე ძალზე დაბალ ფასებში იყიდებოდა. და აი, მეოთხე საამქროში დაამონტაჟეს თურქული წარმოების მოწყობილობა, რომელიც ფეროშენადნობს აქუცმაცებს და სხვადასხვა ფრაქციებად ახარისხებს. ამან ზესტაფონელებს საშუალება მისცა ქარხნის პროდუქცია მსოფლიო სტანდარტებამდე აეყვანოს. ახალი წესით დაყალიბებული 2450 ტონა ფეროშენადნობის პირველი პარტია უკვე გადაიტვირთა თურქეთში, 1800 ტონა გაიგზავნა იტალიაში.

წინასწარი გაანგარიშებით, ამ ტექნიკური სიახლიდან ქარხანა 400 მილიონი მანეთის მოგებას მიიღებს.

• • •

წლეულს ქარხანამ ბარტერული გაცვლით ბელგიიდან და თურქეთიდან ათასი ტონა შაქარი და 60 ტონა მარგარინი შემოიტანა. თითოეულმა ფერომდნობელმა შეღავათიან ფასებში ასი კილოგრამი შაქარი და თორმეტი კილოგრამი მარგარინი მიიღო, პროდუქტები განაწილდა რაიონის მოსახლეობაზეც.

თერჯოლას საკუთარი ტელევიზია აქვს

20 აპრილს ეთერში გავიდა ტელეკომპანია „იბერვიზიის“ თერჯოლის ფილიალის დეციმეტრულ არხზე მომუშავე პირველი გადაცემა.

გადაცემები ყოველდღიურია და მას ღებულობს რაიონის ყველა სოფელი. სტუდიაში ჯერჯერობით ათი თანამშრომელია. ისინი სისტემატურად გადასცემენ გასართობ პროგრამას, რაიონის ამბებს, ცნობებს, ინფორმაციებს, მოსახლეობის წინაშე გამოდიან რაიონის ხელმძღვანელები, საწარმო-დაწესებულებათა თავკაცები და სხვა. ძირითადად მაინც „იბერვიზიის“ მასალები გადაიცემა. ახლო მომავალში დაგეგმილია „იბერვიზიაშიც“ გავიდეს თერჯოლელთა ნამუშევარი.

სტუდიის სათავეში უდგას ინჟინერი გელა ბუსკივაძე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ფილიალის შექმნაში, საჭირო აპარატურის შეძენასა და დამონტაჟებაში.

ჰენრი შარიქაძე.

ეძიებდე და ჰპოვებდე

დღეს ყველა საწარმო-დაწესებულება მტკივნეულად განიცდის ნედლეულის დეფიციტს. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ზუგდიდის ფაიფურის ქარხანაა. მას დღეს განსაკუთრებით უჭირს ნედლეული, რომელიც ადრე თითქმის მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა. ასეთი ძნელბედობის ჟამს ქარხნის ხელმძღვანელებმა, კერძოდ მისმა დირექტორმა გივი ხოსელიამ არსებულ სიძნელეებს ახალი ეკონომიკური აზროვნება დაუპირისპირა და იმედის მომცემმა შედეგებმაც არ დაახანა.

ის კონცეფცია, რომელიც ზუგდიდელმა მეფაიფურეებმა შეიმუშავეს, წარმოების ადგილობრივი ნედლეულით მომარაგების უზრუნველყოფას ითვალისწინებს. მათ უკვე ამიერკავკასიის მინერალოგიის ინსტიტუტთან, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატების კათედრასთან და საქართველოს გეოლოგიის ინსტიტუტთან ერთად ჩაატარეს მეტად საჭირო სამუშაოები ადგილობრივი ნედლეულის კვლევა-ძიების, გამოცდისა და გამოყენებისათვის, დადგენილია, რომ ოზურგეთის ტრაქიტები, ასკანის ბენტონიტები, საჩხერის ბაჟითის ქვიშები უნიკალურია მაღალხარისხოვანი ფაიფურის წარმოებისათვის. თავისი კომპოზიციით უნივერსალური აღმოჩნდა ბოლნისის რაიონის სოფელ ბეთაქარში მიკვლეული ფაიფურის ქვა, რომელიც ერთბაშად სამი დასახელების შემოტანილ ნედლეულს ცვლის. პირველი საწარმოო ცდები ჩატარდა და მიღებული შედეგები დადებითია. ამჟამად მიმდინარეობს მისი მარაგის დადგენისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების სამუშაოები. არც ქართული თაბაშირი მოაკლდებათ ზუგდიდის მეფაიფურეებს, რადგან სვანეთში ნაპოვნია თაბაშირის ოთხი დიდი საბადო. მალე ქარხანაში აშენდება მისი დამმუშავებელი საამქრო.

სპეციალისტების წინასწარი გაანგარიშებით, ადგილობრივი ნედლეულის კვლევა-ძიებისა და გამოცდის საქმეს 10-15 მილიონი მანეთი დასჭირდება. სამაგიეროდ ქარხნის ყოველწლიური მოგება 80-90 მილიონ მანეთს მიაღწევს.

მეტად საჭირო და შორს გამიზნული ჩანაფიქრი აქვთ ზუგდიდელ მეფაიფურეებს. შესაძლებელია ახლო მომავალში ქარხნის ბაზაზე შეიქმნას კორპორაცია „ქართული ფაიფური“, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ქართული ფაიფურისა და კერამიკის წარმოების განვითარებას.

ოდიკ ქუხილავა,
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკუთარი კორესპონდენტი.

გერმანიაში — ირანის გავლით

ირანის დედაქალაქ თეირანში დამთავრებული III ტრადიციული ტურნირიდან 12 მედლით დაბრუნდნენ 1977-78 წლებში დაბადებული ქართველი ჭაბუკი მოჭიდავეები.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. I ადგილი — თენგიზ სირაძე (55 კგ) და ბესიკ ზურაბიანი (76 კგ. ორივე — ოზურგეთი), II ადგილი — კობა ბალავინოვი (51 კგ. — ოზურგეთი), გიორგი ჭანკვეტაძე (65 კგ. — ქუთაისი) და დილარ ნიჟარაძე (83 კგ. — თბილისი), III ადგილი — დავით სალდაძე (70 კგ. — ქუთაისი) და თამაზ გოგელია (95 კგ. — თბილისი).

თავისუფალი ჭიდაობა. II ადგილი. კახაბერ დობორჯგინიძე (45 კგ.) და ნიკო ბეგაშვილი (83 კგ. ორივე — თბილისი), III ადგილი — ოთარ თუშიშვილი (47 კგ. — გორი), ბესიკ ცინაძე (51 კგ.— ქუთაისი) და ფელიქს ბოლიევი (60 კგ. — ბოლნისი).

გუნდურ ჩათვლაში ორივე სახეობაში მასპინძლებმა იმარჯვეს. მეორე ადგილები ქართველმა ფალავნებმა დაიკავეს.

ივლისის პირველ დეკადაში ჩვენი გუნდები იასპარეზებენ მსოფლიოს კადეტთა წლევანდელ პირად-გუნდურ ჩემპიონატში თანატოლთა შორის გერმანიაში.

შალვა კორიძე.

ჩოგანი

ქიზიყელი რეკორდსმენი

სიღნაღელმა საერთაშორისო ოსტატმა ძალისმიერ სამჭიდში, 37 წლის შოთა ბიძაშვილმა მშობლიური ქალაქის „შევარდენის“ სპორტკომპლექსში გამართულ საქართველოს მეორე ჩემპიონატში სამჭიდის ერთ-ერთ სახეობაში — წოლჭიმში ორჯერ გააუმჯობესა ევროპის რეკორდი, ბიძაშვილმა 110 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჯერ ევროპის რეკორდი — 250 კილოგრამი დასძლია, შემდეგ ის შედეგი ნახევარი კილოგრამით „დაამძიმა“, ხოლო ბოლოს არც ამას დასჯერდა და მეორე ცდაზე 251 კილოგრამი აჰმა.

საქართველოს რეკორდის ავტორი შოთა ბიძაშვილი წლეულს 10 დეკემბერს, ბუდაპეშტში გამოვა ჩვენს ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც მხოლოდ სამჭიდის ერთ სახეობაში — წოლჭიმში გაიმართება.

წონითი კატეგორიების მიხედვით ამ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს: მამუკა შენგელიამ, დავით გოზალიშვილმა, ალექსანდრე დალაქიშვილმა, დავით დავითურმა, ვალიკო ჩიტიანაშვილმა, სოსო ხარიბაძემ, ილიკო კვიკვინიამ და შოთა ბიძაშვილმა. გუნდურ შეჯიბრებაში პირველი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მწვრთნელი — ზურაბ ჭავჭანიძე).

ამ ჩემპიონატის სპონსორი იყო სიღნაღის ავტოტექმომსახურეობა „ვაზის“ გენერალური დირექტორი თამაზ სპანდერაშვილი.

გაბრიელ ბარჯაძე.

ინდექსირებული და ჩვეულებრივი თანხებით თქვენი მომავლის გარანტიას შეიქმნით!

საქართველოს სახალხო
საინვესტიციო
კორპორაცია

ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ კაპიტალი
და დაუტოვოთ იგი შვილებს!

• შემნახველ წიგნაკებზე აგვისტოს თვეში დარიცხული გაორმაგებული, ინდექსირებული თანხების გადმორიცხვით თქვენ გახდებით ჩვენი აქციონერი, კორპორაციის მართვის სრული უფლებით.
ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1000 მანეთი.
იყიდება 50 და 100 ათასი მანეთის ღირებულების აქციათა პაკეტები.

გახსოვდეთ!

- ფული ფულთან მიდის, ამიტომ კორპორაცია გააერთიანებს თქვენს ინდექსირებულ და ჩვეულებრივ თანხებს და შექმნის ორ მილიარდიან კაპიტალს. იგი უფრო ეფექტურად გამოიყენება ვიდრე წვრილი თანხა.
- მაღალი დივიდენდი ჩვენთან გარანტირებულია მყარი უძრავი ქონებით.
- ჩვენი აქციებით თავს დააღწევთ ფულის გაუფასურებას და რეფორმებს, რადგანაც მათ უკან იდგება უძრავი ქონება. - მაღაზიები, ქარხნები, სასტუმროები - თქვენი უძრავი ქონება!

ყველა თქვენს შეკითხვაზე მიიღებთ ამომწურავ პასუხს!

ჩვენი რეკვიზიტები: საქართველოს სახალხო საინვესტიციო კორპორაცია;
საქციო კომერციული ბანკი "TBC-ბანკი", საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო,
საკორესპონდენტო ანგარიში N 800161219, მფო 520018.
მის.: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზირი 11. ტელ.: 22-04-16, 22-26-07.

ნუ დაუჯერებთ ფანტასტიკურ დაპირებებს - მას მხოლოდ ავანტიურისტები აკეთებენ.
ჩვენ არ გთავაზობთ ოქროს მთებს - ჩვენ გთავაზობთ შეიქმნათ მომავალი.

საქართველოს საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს

1993-1994 სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა მიღებას დღისა და საღამოს განყოფილებებზე

ინსტიტუტი ამზადებს:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, მშენებლობისა და სამშენებლო მასალათა მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ეკონომიკისა და მართვის, ჯანდაცვის, საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის ეკონომიკისა და მართვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საქალაქო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის, ქიმიურ-სატყეო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიის ეკონომიკისა და მართვის, ტრანსპორტის ეკონომიკისა და მართვის, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეკონომიკისა და მართვის, კვების მრეწველობის ეკონომიკისა და მართვის, აგრეთვე, წარმოების ორგანიზაციის პროფილის **ინჟინერ-ეკონომისტებს.**

აბიტურიენტები წერით გამოცდას და ზეპირ გასაუბრებას გაივლიან მათემატიკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სტუდენტი ინსტიტუტში არჩეულ სპეციალობასთან ერთად, თუ სამისო სურვილი ექნება, დაეუფლება ერთ ან ორ უცხო ენას (იმ ვარაუდით, რომ შეეძლოს თავისუფალი საუბარი), ხელის მანქანაზე ბეჭდვას და ავტომანქანის მართვას. სტუდენტი გაძლიერებული პროგრამით შეისწავლის, აგრეთვე, შესაბამისი დარგის ტექნიკასა და ტექნოლოგიას, ინფორმატიკის საშუალებათა გამოყენებას, ბუღალტერიას, სტატისტიკას, სამეურნეო საქმიანობის ანალიზს, ადამიანთმცოდნეობის თეორიას, მენეჯმენტის საფუძვლებს, ეკონომიკას, სამეურნეო სამართალს.

1993-1994 სასწავლო წლის სწავლის საფასურია 25 ათასი მანეთი. შემდგომი სასწავლო წლებისა იქნება ფულის ინფლაციის დონის შესაბამისად.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე, საშუალო განათლების ატესტატი (დიპლომი), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 4 ცალი ფოტოსურათი (3X4), ჯანმრთელობის ცნობა (ფ. 086).

საბუთები მიიღება პირველი ნაკადისა 20 ივნისიდან 20 ივლისამდე, მეორე ნაკადისა — 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე 12-დან 16 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. აბიტურიენტთა გამოცდა, მათთან კონტრაქტის გაფორმება იწარმოებს პირველი ნაკადისა 22 ივლისიდან 5 აგვისტომდე. მეორე ნაკადისა — 18 აგვისტოდან 27 აგვისტომდე.

სტუდენტად ჩაირიცხება დადებითი ნიშნების მქონე ის აბიტურიენტი, რომელსაც პირველი ან მეტი წლის სწავლის საფასური ნაღდი ან უნაღდო წესით გადახდილი ექნება 1 სექტემბრამდე.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, მესამე კვარტალი 147-ე სკოლის შენობა.
ტელეფონები: 51-98-84, 95-28-77.

რექტორატი.

ფირმა
«ბასკა»

1. იყიდის ამერიკულ დოლარს უნაღდო ანგარიშსწორებით 5400 მანეთად.
2. აწარმოებს ნაღდ მანეთებში უნაღდო მანეთების გადარიცხვას კოეფიციენტით 3.3.
3. აწარმოებს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში გადარიცხვას კოეფიციენტით 3.3.
4. იყიდის ამერიკულ დოლარს ნაღდი ანგარიშსწორებით კუპონებზე, კურსი ყოველდღე იცვლება.

ჩვენი მისამართია: კოსტავას 69ა
ტელეფონი: 98-63-10.

ჯემალ გახოკიძე: „კანონმდებელმა ბრალდებულს მზრუნველობა არ მოაკლო, მოწმე და დაზარალებული კი დაივიწყა“

დანაშაულის გახსნა, დამნაშავის გამოვლენა და დაპატიმრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მართლმსაჯულების გამარჯვებას. რამდენი გზა, წვრილი, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი უნდა გაიაროს სისხლის სამართლის საქმემ, ვიდრე კანონი დამნაშავის პასუხისმგებლობას დააკისრებს. საქართველოს უმძიმესი კრიმინოგენული სიტუაციის გაუმჯობესების ბედი დიდად არის დამოკიდებული გამოძიების ოპერატიულობასა და ხარისხზე, მაგრამ ამ დარგშიც მრავალი ხელოვნური თუ ბუნებრივი პრობლემა დაგროვდა. სწორედ ამ პრობლემათა წარმოჩენისა და მათი გადაწყვეტის გზების ძიების მცდელობაა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საგამოძიებო სამმართველოს უფროსის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, პოლიციის პოლკოვნიკ **ჯემალ გახოკიძის** საუბარი.

— მოდით, პირდაპირ საქმით დავიწყოთ: ცნობილია, რომ დღეს გამოძიება ერთდროულად რამდენიმე ძმის ხელშია. როგორ ფიქრობთ, თანამედროვე ეტაპზე გამოძიების ასეთი დიფერენციაცია ამართლებს თავის დანიშნულებას?

— ჩემი პასუხიც ისეთივე პირდაპირი იქნება, როგორიც თქვენი კითხვაა: ვერ ამართლებს. ფაქტია, რომ გამოძიებას დღეს, მართლაც, არაერთი პატრონი ჰყავს. მარტო შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე სამსახურშია „დაქუცმაცებული“ ის. „საკუთარი“ გამოძიება გააჩნიათ პოლიციის სატრანსპორტო დანაყოფებს, საგზაო პოლიციას, ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოს, ყველა საქალაქო და რაიონულ განყოფილებას. ამ დროს მთავარი საგამოძიებო სამმართველო, ძირითადად, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, აგრეთვე, ნომინალურად, სატრანსპორტო და საგზაო პოლიციის გამოძიებას უწევს პროცესუალურ-საუწყებო კონტროლს. თავისი საგამოძიებო აპარატებით არიან უზრუნველყოფილი საქალაქო და რაიონული პროკურატურები. ცალკე გამოძიება გააჩნია რესპუბლიკის პროკურატურის ორგანიზებული დანაშაულის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სამმართველოს.

დამოუკიდებლად იძიებენ საქმეებს ახალჩამოყალიბებული სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ორგანოები.

მოგეხსენებათ, საკუთარი საგამოძიებო აპარატითაა აღჭურვილი საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურიც.

მოქმედი კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ დანაყოფს აქვს მასზე დაქვემდებარებული საქმეების დამოუკიდებლად გამოძიების უფლება და ძაღლის თავიც სწორედ აქ არის ჩამარხული. საქმე ისაა, რომ ოპერატიულად „ცხელ კვალზე“ გამოძიების დაწყების მაგიერად, ჩვენი საგამოძიებო ორგანოები, არც ისე იშვიათად, იმის გარკვევით არიან დაკავებული, თუ ვის ეკუთვნის და კონკრეტულად ვინ უნდა აწარმოოს ესა თუ ის საქმე, არადა, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ოპერატიულობას, გამოძიების დაწყებით სტადიას აქვს. ესაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ნივთმტკიცებების აღმოჩენა და ამოღება, მოწმეთა წრის დადგენა და ასე შემდეგ. ამდენად, გასაგებია გამოძიების შემდეგი ეტაპის შედეგები, თუ გამომძიებელი ან საგამოძიებო ორგანოები თვლიან, რომ ისინი სხვისი საქმით არიან დაკავებული. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ისაა, რომ დღეს რესპუბლიკაში არავინ აკეთებს საგამოძიებო საქმიანობის ერთიან ანალიზს, პროგნოზირებას და არც ამ სამსახურისათვის პროფესიონალი კადრების მოსამზადებლად ირჯება ვინმე.

— ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენ ყველა საგამოძიებო აპარატის ერთი პატრონის ხელში თავმოყრის მომხრე ხართ?

— ეს გარდაუვალია, ოღონდ მას სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები უნდა უსწრებდეს წინ და ჩვეულებრივ, მექანიკურ თავმოყრას არ წარმოადგენდეს.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ უხილავ დანაშაულთა (ეს ის დანაშაულობებია, რომელთა ჩამდენი პირის დადგენა პირველივე ეტაპზე ვერ ხერხდება, მაგალითად, ქურდობა) გახსნის ყველაზე დიდ ბერკეტებს დღეს ოპერატიული სამსახურები ფლობენ. სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესი გამოძიებას ვერ აძლევს ისეთ საშუალებებს, რომელიც ყოველთვის დანაშაულის გახსნამდე მიგვიყვანდა. ბუნებრივია, რომ ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების მიერ მოპოვებული მასალები გამოძიებით უნდა გადამოწმდეს და დადასტურდეს ან უარყოფილ იქნას. ამდენად, ცალკე საგამოძიებო უწყების ჩამოყალიბების შემთხვევაში ანგარიშგასაწევ პრობლემად რჩება ოპერატიული სამსახურებისა და საგამოძიებო აპარატის ურთიერთშეთანხმებული მოქმედების საკითხი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ოპერატიული და საგამოძიებო სამსახურების ასეთი შეთანხმებული მოქმედება, სერიოზული ხარვეზების მიუხედავად, დღეს, ავად თუ კარგად, ხერხდება. ხვალ, თუ ყველა საგამოძიებო დანაყოფი ერთ სისტემაში გაერთიანდება ეს პრობლემა, დაშორიშორდება, გაღრმავდება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ საგამოძიებო აპარატებმა, გარკვეულწილად, ოპერატიული სამსახურებისათვის დამახასიათებელი ფუნქციები უნდა შეითვისონ, ოპერატიულმა სამსახურებმა კი — გამოძიებისა. ყოველ შემთხვევაში, ასეა უმეტეს ცივილიზებულ ქვეყნებში, სადაც სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები მკვეთრად გამიჯნული არ არის. ჩვენი მოქმედი კანონმდებლობა კი ძალიან მკაცრად მიჯნავს ამ ორი სამსახურის საქმიანობას. თუ ასე გაგრძელდა და ახალმა საპროცესო კანონმდებლობამ დასაშვებ ზღვრამდე არ დააახლოვა ერთმანეთს, დანაშაულის გახსნის მდგომარეობა გამოძიების ერთიანი აპარატის შექმნის შემთხვევაში უფრო გაუარესდება.

საკითხავია, რატომ არა აქვს ოპერატიულ-სამძებრო სამსახურს უხილავ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმისა და გადაუდებელი საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების უფლება? ან დანაშაულის მის ხელთ არსებული ყველა დეტალის დასაზუსტებლად განა საკმარისია ათდღიანი ვადა? რატომ არ უნდა იყოს ეს ვადა ოცდღიანი, თუნდაც ერთთვიანი?

ვიცი, რომ პარლამენტის შესაბამის კომისიებში უკვე დაწყებულია გარკვეული მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ აუცილებელია ამ საქმეში პრაქტიკოსთა — არა მარტო საგამოძიებო, არამედ ოპერატიული სამსახურების სპეციალისტთა ჩართვაც.

— როგორია საერთო საგამოძიებო სპექტრში თქვენი სამმართველოს მიერ გამოძიებულ საქმეთა ხვედრითი წილი?

— დაახლოებით 72-75 პროცენტი, თუმცა ჩვენი გამომძიებლები იძიებენ მხოლოდ ყაჩაღობას, ძარცვას, ყველა კატეგორიის ქურდობას, ნარკომანიის საქმეებს, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვასა და ტარებას, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ყველა სახის დანაშაულს.

— ბატონო ჯემალ, შესამჩნევი დადებითი ძვრების მიუხედავად, რესპუბლიკაში კვლავ უმძიმესი კრიმინოგენული სიტუაციაა და ლამის დაუსჯელობის ატმოსფერო სუფევს. ყველაფერს და, მათ შორის, საზოგადოების მოთმინებასაც აქვს, ალბათ, საზღვარი?

ერთად უნდა ვებრძოლოთ

— საზოგადოების გულისწყრომა სავსებით კანონზომიერია და, მართლაც, დაუსჯელობის ატმოსფერო სუფევს რესპუბლიკაში.

სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა მეტად უარყოფითად იმოქმედეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შედეგებზეც. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დღეს მოწმეს კი არა დაზარალებულსაც კი არ სურს სწორი ჩვენების მიცემა. ხშირად ისეც ხდება, რომ ერთ ეტაპზე იძლევიან ბრალდებულის მამხილებელ ჩვენებას, მეორე ეტაპზე კი ცდილობენ ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვალონ იგი. ამის ძირითადი მიზეზი მოწმისა და დაზარალებულის კანონით დაუცველობაა. სამაგიეროდ, ბრალდებულის დასაცავად გადადგა კანონმდებელმა ძალიან სწრაფი ნაბიჯები. ჩვენი კანონმდებლობით როგორც ეჭვმიტანილი, ისე ბრალდებული ადვოკატით არიან უზრუნველყოფილი. ადვოკატს გამოძიების მიერ მოპოვებული ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებების წინასწარი გაცნობის უფლებაც კი აქვს. ასეთ ვითარებაში, გამოძიების რა საიდუმლოებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი? გავა ერთი-ორი დღე, მოწმეს თუ დაზარალებულს დაუკაკუნებს კარებზე ბრალდებულის მხარე და სთხოვს ამა თუ იმ ჩვენების შეცვლას. თხოვნა თუ არ ჭრის, იძულებასაც არ ერიდება. როგორც ხედავთ, კანონმდებელმა ცალმხრივად იზრუნა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეებისათვის — დამნაშავეს მზრუნველობა არ მოაკლო, მოწმე და დაზარალებული კი დაივიწყა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ დასვა პარლამენტის წინაშე ეს საკითხი და მოითხოვა, რომ ადვოკატი საქმეზე ბრალდების წაყენების შემდეგ უნდა დაიშვას და მოპოვებულ მასალებსაც ადვოკატი და მისი კლიენტი გამოძიების დამამთავრებელ სტადიაზე უნდა გაეცნონ, ისე, როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია. სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინათ, რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ინიციატივით, საქართველოში სტუმრად იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების პროკურატურის, სასამართლოსა და ადვოკატურის წარმომადგენლები და ჩვენი მოქმედი კანონმდებლობის მუხლებს, ადვოკატის მიერ ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის დაცვის შესახებ, რომ გაეცნენ, ნახევრად ხუმრობით გვითხრეს: დემოკრატიის თვალსაზრისით თქვენ ჩვენზე წინ წასულხართო. მათ ცალსახად აგვიხსნეს, რომ ბრალდებულის მიმართ შეკრებილ მამხილებელ საბუთებს ადვოკატი და მისი კლიენტი მხოლოდ სასამართლო პროცესის დაწყების წინ ეცნობიან, რითაც გამოძიების საიდუმლოება რეალურადაა დაცული.

სხვა პრობლემაა ერთი გამომძიებლისათვის ერთდროულად 15-20 საქმის წარმოება. ასეთ ვითარებაში, ხარისხიან გამოძიებაზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულიც კია. თუ ამას ზოგიერთი გამომძიებლისა და ოპერატიული მუშაკის არაკეთილსინდისიერებასა და არაპროფესიონალიზმსაც დავუმატებთ გამოჩნდება, რომ საზოგადოების გულისწყრომა სავსებით კანონზომიერი და სამართლიანია.

ვერც იმაზე დავხუჭავთ თვალს, რომ კანონი ერთნაირად არ კანონობს ყველასთვის. ეს ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დამღუპველი და საშიში სენია.

საქართველო კანონმა უნდა გადაარჩინოს. ჩვენს ქვეყანას სხვა გზა არა აქვს.

თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს ჩვენი ცოდვების სხვაზე გადაბრალებას ვაპირებ. პირიქით, ამის დრო ახლა არ არის და ოპერატიულმა თუ საგამოძიებო სამსახურებმა პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების თანადგომით, ერთიანი ძალით უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ დანაშაულთა დიდი ნაწილი გაიხსნას და დამნაშავე საკადრისად დაისაჯოს.

კანონმდებელმა კი სასწრაფოდ უნდა მოაწესრიგოს ის დისბალანსი, რომელიც საპროცესო კანონმდებლობას გააჩნია ბრალდებულის, მოწმისა და დაზარალებულის უფლებების განსაზღვრისას.

— ბატონო ჯემალ, დღეს საქართველოს ათასი ნაკლოვანება და ჭია ღრღნის, მაგრამ, ერთ-ერთი ყველაზე საშიში ნარკომანია და ნარკობიზნესია, ამ სფეროს დანაშაულობებს კი თქვენი სამსახური იძიებს.

— ყველაზე მძიმე და ხანგრძლივი ომი საქართველოს, ალბათ, ნარკომანიასთან მოუწევს. ჩვენს ქვეყანაში დღეს იშვიათად ნახავ ოჯახს, რომელსაც, პირდაპირ თუ ირიბად, არ განეცადოს ამ უბედურების მთელი სერიოზულობა. მე ვერ ვიტყვი, რომ გამოძიებას და ოპერატიულ სამსახურებს შესწევთ დამოუკიდებლად ამ პრობლემის მოგვარების უნარი, მაგრამ ნარკოტიკებით მოვაჭრეებმა უშიშრად რომ ვერ იგრძნონ თავი, ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლიათ.

ვინ იფიქრებდა, რომ ისეთ რაიონებს, როგორიცაა ახმეტა, თიანეთი, საჩხერე, ჭიათურა და ბევრი სხვა, ნარკომანები ეყოლებოდათ. ახმეტა ნარკოტიკების სატრანზიტო რაიონადაც კი იქცა.

პრობლემები ამ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიც დაგროვდა. კანონით, ნარკოტიკების რეალიზატორი გამოძიებამ დამნაშავედ რომ ცნოს, აუცილებელია ამ ნარკოტიკების შემსყიდველი კონკრეტული პირებიც დაადგინოს. შემსყიდველი ნარკომანია. რომელი ნარკომანი გათქვამს იმას, ვისგანაც „წამალი“ შეიძინა? სწორედ, ამის ბრალია, თუ რეალიზატორი ხშირად საკადრისად ვერ ისჯება. ყოველივე ამის გამო, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, საგამოძიებო დანაყოფებისათვის შემდეგი სახის პრაქტიკული რეკომენდაციები მიგვეცა: კონკრეტული მომხმარებლების დადგენის მიუხედავად, იმ პირების ქმედობა, რომელთაც აღმოაჩნდათ ულუფებად დაფასოებული დიდი ოდენობის ნარკოტიკები (თუნდაც თვითონ არ იყვნენ ნარკოტიკების მომხმარებლები) გამოძიებამ უნდა დააკვალიფიციროს, როგორც ნარკოტიკების რეალიზაციისკენ მიმართული ქმედობა. საგამოძიებო ორგანოებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ ნარკოტიკები, როგორც წესი, კონტრაბანდაა. სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლში კი ჩაწერილია: „ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების კონტრაბანდა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან 15 წლამდე“.

საქართველო აღარ არის სსრკ საზღვრებში. ამიტომ ზემოხსენებული დადგენის შემთხვევაში საქმე კონტრაბანდასთანაც გვაქვს.

ახლა ვიძიებთ ნარკოტიკების რეალიზატორების ერთ საკმაოდ მოზრდილ საქმეს. ისინი, დედა-შვილი, ახალქალაქიდან არიან, კლიენტები კი ჰყავდათ ახალციხიდან, ბორჯომიდან, ხაშურიდან და თბილისიდანაც კი. მათთან ერთად ნარკოტიკების შემსყიდველი ოთხი მოქალაქეცაა მხილებული. ამოღებულია 40 ულუფა ოპიუმი, ერთი მილიონი მანეთი, 330 ამერიკული დოლარი, 63 ერთეული ოქროს ბეჭედი და ბრილიანტები. ირკვევა, რომ ისინი ნარკოტიკებს ყიდდნენ როგორც ნაღდ ფულზე, ისე — ოქროეულობაზე, ამჟამად გამოძიება ამ ნივთების რეალური პატრონების დადგენასაც ცდილობს.

არის მოსაზრება ნარკოტიკების მოხმარების გარკვეული ლეგალიზაციის შესახებ. ამ იდეის ავტორებს, ეტყობა, ავიწყდებათ, რომ დღეს საქართველოში თითქმის არ არსებობს სპეციალური სამედიცინო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, მერეც, ქვეყანაში ისეთი მძიმე კრიმინოგენული სიტუაციაა ნარკოტიკების მხრივ, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოთიშვა თამაშიდან უარეს, გაუთვალისწინებელ შედეგებს მოგვიტანს.

თუმცა ნარკომანსაც გააჩნია. ზოგჯერ ისეთ ახალგაზრდას შეხვდები, რომელიც უნებლიედ არის ჩათრეული ამ სიბინძურეში და მისი გამოსწორება ციხის გარეშეც შეიძლება, მაგრამ იმ გათახსირებულ პროფესიონალ მომხმარებელს რა ვუყოთ, რომელიც „წამლის“ გამო ყიდის სინდისს, ნამუსს, ოჯახს, საკუთარი მეუღლის პატიოსნებას, ჭაობში ითრევს მეზობელს, ახლობელს, მეგობარს, არასრულწლოვან გოგოსა თუ ბიჭს, ღვიძლ ძმასაც კი.

ამის შემდეგ თავად მკითხველმა დაადგინოს ნარკოტიკების გარკვეული ლეგალიზაციით (ისიც საქართველოში) თავსდატეხილი ტრაგედიის მასშტაბი.

ზაურ მაკარაძე.

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ,
ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от Москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

რესპუბლიკური სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ქ. თბილისში განლაგებული სახელმწიფო ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებებისა და ფირმების ხელმძღვანელთა

საყურადღებოდ!

მიმდინარეობს საუწყებო (გადარიცხვითი) ხელმოწერა 1993 წლის II ნახევრისათვის, როგორც რესპუბლიკურ, ისე რუსეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების გამოცემებზე. თუ თქვენ ჯერ კიდევ არ გაქვთ გამოწერილი თქვენთვის სასურველი პრესა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პრესის გავრცელების რესპუბლიკურ ცენტრს, რომელიც დაგეხმარებათ თქვენთვის სასურველი პერიოდული პრესის შერჩევაში და ოპერატიულად გაგიფორმებთ ხელმოწერას.

ტელეფონები: 98-26-80, 98-46-74, 99-59-50.
ჩვენი მისამართია: 9 აპრილის ქ. 2, კავშირგაბმულობის სამინისტრო, V სართული.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, სახელმწიფო კომერციული გაერთიანება „საქჩაისუბტროპიკის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინეს ჩაის კომბინატის დირექტორი, ღვაწლმოსილი მუშაკი

გურამ შოთას ძე ლემონჯავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС-РЕСПУБЛИКА